გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 დეკემბერი, 2005 წელი.

№291 (5324)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხერხეულის სიცოცხლეა, ფუფულებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა ჯურის რისხვაზე უსამართლოა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## დროა, პრეზიდენტმა და ოპოზიციამ ერთმანეთს ხელი გაუწოდონ



**ბატონო პრეზიდენტო,** თქვენ ერუდირებული, ცოდნით, მაღალი ნიჭით მდიდარი, ზღვა ენერგიით აღსავსე და გამბედავი პიროვნება ხართ. მინდა, გადადგათ საქართველოსთვის, მისი სიკეთისთვის მკვეთრი ნაბიჯი, რათა ქვეყანაში დამთავრდეს შუღლი, ერთმანეთის მიმართ ქიშპობა-ჩასაფრება. ხალხი გადაიღალა ამდენი კინკლაობით და რევოლუციით, დროა, თქვენ და თქვენმა ოპოზიციამ ერთმანეთს გაუწოდონ ხელი.

იხ. მე-6 გვ.

## პარტიული მეტსახელი „ბეკო“




**ბატონმა** კოტემ, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობის პირმა, თავისი „ხუმრობით“ შეგნებულად უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენა იმ ხალხს, ვინც იგი ორჯერ მიიყვანა ხელისუფლებაში: თქვენ თუ გენდეთ, მერად და გამგებლად თხას, ვირს ან ბატს აირჩევთ, რადგან თხაზე, ვირზე და ბატზე მეტი ტვინი არ გაგაჩნიათო!

იხ. მე-2 გვ.

## SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული მეცნიერება!



**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიაში ბოლო წლების მანძილზე გასაგები მიზეზების გამო შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საჭირო გახდა სისტემის აუცილებელი რეფორმირება, სისტემის „გაჯანსაღება“ და „ავგიას თავლების წმენდა“. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ პროცესში „ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ“ და გამოვიწვიოთ ჩვენი ეროვნული აკადემიის ნგრევა...

იხ. მე-2 გვ.

**◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## რობერტ სიმონსი: საქართველო ნატოში გაწევრების პირველ ეტაპზეც კი არ იმყოფება

იხ. მე-7 გვ.

**◎ ინფორმაცია**

### შეხვედრას დეკემბრის ბოლოსთვის ვარაუდობენ

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას დეკემბრის ბოლომდე ვარაუდობს.

— მე პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას დეკემბრის ბოლომდე არ გამოვრიცხავ, — განუცხადა რუსულ საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსს“ მოსკოვში ვიზიტად მყოფმა სერგეი ბაღაფშმა.

მისივე თქმით, იგი ადრეც აცხადებდა, რომ საომარი მოქმედებების განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ყველა საკამათო საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე, მზად იქნებოდა პრეზიდენტ სააკაშვილთან შესახვედრად.

აღნიშნული შეხვედრის მზადყოფნის შესახებ განცხადება, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტ სააკაშვილის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა.

ინტერპრესნიუსი

**◎ პანორამა**

**უკრაინის** ყოფილი პრემიერი ლაზარენკო აპირებს სამშობლოში დაბრუნებას და პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობას. „უახლოეს მომავალში ვიქნები უკრაინაში“, — განაცხადა მან ტელეფონით ლაზარენკოს ბლოკის პირველ პარტიათაშორის ყრილობაზე, რომელშიც შედიან სრულიად უკრაინის გაერთიანება „გრომადა“, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული კავშირი და სოციალ-დემოკრატიული პარტია. ლაზარენკოს ბლოკისგან სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა სიას სათავეში თვით პავლე ლაზარენკო უდგას.

* * *

**ისრაელის** ვიცე-პრემიერს შიმონ პერესს მიაჩნია, რომ ევროპამ და შეერთებულმა შტატებმა უნდა გაილაშქრონ ერთიანი ფრონტით და საკადრისი პასუხი გასცენ ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ ისრაელის წინააღმდეგ გაკეთებულ აგრესიულ განცხადებებს. როგორც ცნობილია, ირანის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფო უნდა გადაიტანონ ევროპაში, შეერთებულ შტატებში, კანადაში ან ალასკაზე.

* * *

**ერაყში** საარჩევნო უბნების გახსნის შემდეგ მოხდა რამდენიმე აფეთქება: დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი ადამიანი. ერთ-ერთი აფეთქების ხმა გაისმა ქალაქ მოსულის საარჩევნო ოლქში. დაუდგენელმა პირებმა ისროლეს ხელყუმბარა, რომელიც აფეთქდა საარჩევნო უბანთან რიგში მდგომი ადამიანების მახლობლად. წინა დღით კი „ალ-ყაიდას“ ერაყში მოქმედი უჯრედის ხელმძღვანელმა აბუ მუსაბ აზ-ზარქავიმ გააფრთხილა ერაყელები ტერაქტების მზადების შესახებ. როგორც ექსტრემისტების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ხაზგასმული, ეს ტერაქტები მიმართული იქნება „მოღალატეთა“ წინააღმდეგ.

* * *

**რუსეთსა** და უკრაინას შორის დაუსრულებელმა ორმხრივმა პრეტენზიებმა საბოლოოდ გადაიყვანა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა ახალ სიბრტყეში. უკრაინის დედაქალაქში ალაპარაკდნენ „ცივი ომის“ ენით. უკრაინელი პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ქვეყანამ შეიძლება გამოთქვას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენლობიდან გამოსვლის სურვილი, ან გამოიყენოს ეს შესაძლებლობა შანტაჟისთვის, წერს რუსული „ნეზავისიმაია გაზეტა“.

## როცა ადამიანს შია...



იხ. მე-3 გვ.

**ცუდია** სიბერე, მით უმეტეს, როცა გშია და გწყურია. ეტაპობრივი ფულადი დახმარება ადამიანებს სილატაკიდან ვერ ამოიყვანს.

## მთავრობა მინისტრების ნაცვლად ტექნიკურ პერსონალს გვიგზავნის

იხ. მე-2 გვ.

დამსგავსებია ქორწილს
ქელეხი,
როს გვეტირება,
მაშინ ვიცინით,
მინდა დავარქვა ამ ლექსს
„ქვემეხი“,
თუმცა, თავიდან ერქვა
„სირცხვილი“.

იხ. მე-4 გვ.

## მსოფლიოს შემაძრწუნებელი სამი კალმის მოსმა



იხ. მე-5 გვ.

## თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ



**ქართულ** რევოლუციურ ხელისუფლებაში კადრების გაუთავებელი ცვლილებები, ძირითადად, დანიშნულთა არაკომპეტენტურობაზე და მათი მუშაობის სტილითა და შედეგებით პრეზიდენტის უკმაყოფილებაზე მიუთითებს. რევოლუციური კადრების სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების სურვილზე მიუთითებს ე. წ. „ჩემი გუნდის“ პრინციპი.

იხ. მე-3-4 გვ.

## უცნობი სტალინი

— **ვამაყობ,** რომ მტრად მყავდა თვით სტალინი, იდენ! — თქვა ჩერჩილმა. — შენ კი, როდესაც, დღეს თუ არა ხვალ, ჩემ ადგილს დაიკავებ, რით იამაყებ? ხრუშჩოვით ხომ არა? ჰე, შენ იოლი საქმე გელის, ენტონი, იოლი!..

იხ. მე-5 გვ.

განგაში!

# SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული მეცნიერება!



**ამ მოწოდებით არაერთგზის მივმართეთ საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებს, მათ შორის „სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციას“, რომლის წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც არის, აგრეთვე „მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ორგანიზაციას“, რომლის პრეზიდენტი აკადემიკოსი ბორის პატონი ამავე დროს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტია. მან ოფიციალური წერილით მიმართა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ჩვენს აკადემიაში მიმდინარე პროცესების თაობაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ეროვნული ცენტრის, რეფორმირების პროცესში თავისი მოწოდებებით ქვეყნის პრეზიდენტისადმი ჩაერთო აგრეთვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო...**

ყველა ამ მიმართვაში გამოთქმული იყო მოწოდება განათლებისა და მეცნიერების აუცილებელი რეფორმირების პროცესში ნაჩქარევად არ მიგველო გადაწყვეტილებები, რაც გამოიწვევდა სისტემის რღვევას და საქვეყნოდ ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლების დაშლას.

ასეთივე მოსაზრებები გამოითქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კოლექტივების წარმომადგენელთა შეკრებაზეც, რომელიც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში გაიმართა.

ამ შეკრებაზე სრულიად დაუშვებლად იყო მიჩნეული ერთპიროვნული და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება არსებული აკადემიური სისტემის რეფორმირებისა და გარდაქმნის პროცესში. ეს შეეხება, უწინარესად, აკადემიური ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას, რაც პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტით ივარაუდება და რასაც ეს ინსტიტუტები და კვლევითი ცენტრები ავტომატურად გამოჰყავს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით, თვით არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამასთან ერთად, გარკვეული ვადის გავლის შემდეგ, წარმოდგენილი კანონპროექტი შესაძლებლად მიიჩნევს ინსტიტუტების მეცნიერებათა აკადემიის „ქოლგის“ ქვეშ დაბრუნებას, მათი სურვილისდა მიხედვით. ეს კი მეტად პრობლემატურია, თუ სათანადო ცვლილებებს არ შეიტანენ თვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, რაც მოგვცემდა ისეთ აკადემიურ სტრუქტურას, როგორც ეს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის შემთხვევაში გვაქვს; შექმნილ სიტუაციაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როგორც ფუნდამენტურ კვლევათა ეროვნული ცენტრის გადარჩენისა და რეფორმირებული სახით მისი შემდგომი წარმატებული ფუნქციონირების ეს ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა და შესაძლებლობა იქნებოდა.

სხვა შემთხვევაში ეს პროცესები მიგვიყვანს მეცნიერებათა აკადემიის გადაქცევამდე მეცნიერთა ერთგვარ „ასოციაციად“, რასაც ჩვენ აკადემიური სისტემის დაშლად და, შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნგრევად მივიჩნევთ; შედეგად მივიღებთ აკადემიური სისტემიდან გასული ინსტიტუტების რღვევას და, საბოლოოდ, მათს სრულ ლიკვიდაციას, ინსტიტუტებისა, რომლებიც დაკარგავენ ერთმანეთთან აუცილებელ სამეცნიერო კონტაქტებსა და კავშირებს.

აკადემიური სამეცნიერო სისტემა, როგორც ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ავტონომიური და დამოუკიდებელი ერთობლიობა, დამახასიათებელია მრავალი ევროპული ქვეყნისთვის. ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა მეცნიერებათა აკადემიაში ჩვენი მიმართვის პასუხად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულმა პრეზიდენტმა „სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციისა“ პროფესორმა **პიტერ დრენთმა**, რომელმაც ჩვენი აკადემიური სისტემის რეფორმირების პროცესში სიფრთხილისაკენ და არა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნების აკადემიების, არამედ უპირატესად ავსტრიისა და მთელი რიგი სხვა ევროპული აკადემიების გამოცდილების გათვალისწინებისკენ მოგვიწოდა.

როგორც აღინიშნა, ევროპული აკადემიების ამ ასოციაციაში, რომელიც ამავე დროს არის ევროკავშირის ქვეყნების მრჩეველი და კონსულტანტი მეცნიერებისა და განათლების დარგში, შედის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც — ერთადერთი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, რაც რეალური აღიარებაა ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაციისა და ევროპისადმი მიკუთვნებისა. ეს ფაქტი განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ევროპულ აკადემიათა გაერთიანების ერთადერთ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან.

სამწუხაროა, რომ ჩვენი სტუმრის ესოდენ მაღალი აკადემიური რანგის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი შეხვედრა ჩვენი განათლებისა და მეცნიერების მესვეურებთან. **პროფესორ პიტერ დრენთისვე** თხოვნით, რომელიც ეროვნებით ჰოლანდიელია (იგი წლების მანძილზე იყო ჰოლანდიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), შევხვდით საქართველოს **პირველ ლედის**, რომელთანაც გაიმართა საინტერესო საუბარი **ქალბატონ სანდრას** მოგონებათა წიგნზე (ეს წიგნი ჰოლანდიურად დაიწერა და შემდგომ მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც, ითარგმნა), აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციის სხვადასხვა საკითხზე ევროპასა და საქართველოში, რამაც სათანადო წარმოდგენა შეუქმნა ჩვენს სტუმარს ქვეყანაში ჩვენი განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრობა შესაძლებელს ხდის ევროპის აკადემიებთან ურთიერთობის დამყარებას და მათი გამოცდილების გამოყენებას ჩვენი აკადემიის რეფორმირების პროცესში.

ჩვენი მეცნიერებათა აკადემია ტრადიციულად ცნობილია მთელ მსოფლიოში როგორც ერთ-ერთი მაღალი მეცნიერული დონის კვლევითი დაწესებულება, რომელიც მასში მრავალი უმაღლესი რანგის ეროვნული მეცნიერული სკოლისა და მიმდინარეობის არსებობით გამოირჩევა. საკმარისია ამასთან დაკავშირებით აღინიშნოს, რომ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **პროფესორი მანგი**, როგორც მან ეს ჩემთან საუბარში სულ რამდენიმე ხნის წინათ აღნიშნა, ყოფილა ჩვენი აკადემიის პირველი პრეზიდენტის **აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის** მოწაფე და მიმდევარი... და ასე არის ეს მრავალი სხვა ჩვენი გამოჩენილ მეცნიერის შემთხვევაშიც, რომლებიც ყოველთვის იდგნენ ევროპული და მსოფლიო მეცნიერების დონეზე და ხშირ შემთხვევაში თვით განსაზღვრავდნენ ამ დონეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბოლო წლების მანძილზე, გასაგები მიზეზების გამო, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საჭირო გახდა სისტემის აუცილებელი რეფორმირება, „გაჯანსაღება“ და „ავგიას თავლების წმენდა“. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ პროცესში „ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ“ და გამოვიწვიოთ ჩვენი ეროვნული აკადემიის ნგრევა, როგორც ეს ფრანგული რევოლუციის დროს იყო, როდესაც ლიკვიდირებულ იქნა საქვეყნოდ ცნობილი ფრანგული აკადემიები და სამეცნიერო სკოლები, რომელთა აღდგენას მრავალი წელი დასჭირდა. ყოველივე ეს ჩვენი მაღალი მეცნიერების, განათლებული ქვეყნისა და შთამომავლობისთვის დამღუპველი იქნებოდა.

**თამაზ გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.**

ოპოზიცია

# მთავრობა მინისტრების ნაცვლად ტექნიკურ პერსონალს გვიგზავნის,

## ამბობენ „დაჩაგრული“ ოპოზიციონერები

**საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიულმა ფრონტმა“, როგორც ჩანს, მთავრობას ვერაფრით მოაწონა თავი. გუშინ ფრაქციის სხდომაზე უშედეგოდ ელოდნენ ჯერ ფინანსთა მინისტრს, შემდგომ კი — ჯანდაცვის მინისტრს. ამის გამო ოპოზიციონერებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს სალომე ზურაბიშვილის გათავისუფლება, რის ფორმალურ საფუძვლადაც პარლამენტისადმი უპატივცემულობა იქცა. მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი ამტკიცებდა, რომ მთავარი იყო არა ის, თუ ვინ გამოცხადდებოდა ფრაქციის სხდომაზე, არამედ მთავრობის პოზიციის გაცნობა დეპუტატებისთვის და მათს შეკითხვებზე პასუხების გაცემა, რასაც მინისტრის მოადგილეც შეძლებდა. თუმცა, „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლები მოადგილეების პასუხებით კმაყოფილი არ დარჩენილან, ამასთან, მათ თავი დაჩაგრულად იგრძნეს, — უმრავლესობასთან რომ არ მისულიყო მინისტრი, გადააყენებდნენ. ეს, ჩვენ, ოპოზიციას, გვჩაგრავენ, — თქვა ზვიად ძიძიგურმა. აქვე აღვნიშნავ, რომ მოგვიანებით, ჭიპაშვილი უმრავლესობის წევრებთან, ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მივიდა.**

ჯანდაცვის მინისტრთან ერთად „დემოკრატიულ ფრონტს“ კვლავ „სახელმწიფო პენსიათა შესახებ“ კანონპროექტი უნდა განეხილა. კანონპროექტში შეტანილ ცვლილებაზე ლადო ჭიპაშვილის ნაცვლად მისმა მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა ისაუბრა. „დემოკრატიული ფრონტი“ ყველაზე მეტად ორი საკითხით იყო დაინტერესებული — ქალთა საპენსიო ასაკითა და რეპრესირებულთა პენსიით. ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მიტინგების შედეგად ხელისუფლება, გარკვეულწილად, დათანხმდა წამოყენებულ წინადადებებს. ქალთა საპენსიო ასაკად კვლავაც 65 წელს სტოვებენ, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით — სურვილის შემთხვევაში, ქალს შესაძლებლობა მიეცემა, 60 წლის ასაკში დატოვოს სამსახური და გავიდეს პენსიაზე. რაც შეეხება რეპრესირებულთა პენსიას, რაც, თავის დროზე, ხელისუფლებას მხედველობიდან გამორჩა, ოპოზიციის მოთხოვნის გათვალისწინებით, იზრდება, მაგრამ მხოლოდ 5 ლარით. ამის გაგონებაზე ჯერ ჩაიცინა დავით ბერძენიშვილმა, შემდეგ კი შეკითხვით მიმართა მინისტრის მოადგილეს:

— მაშინ, როცა მინიმალური პენსია 14 ლარს შეადგენდა, ხელისუფლება მიხვდა, რომ რეპრესირებულებისთვის გაცილებით მეტი პენსია უნდა მიეცა, ამიტომაც 45 ლარი დაუნიშნა. დღევანდელი ხელისუფლება კი ყველაზე ნაკლებად სწორედ რეპრესირებულებს უზრდის პენსიას. რა ხდება, მათ წინაშე ვალდებულებას არ გრძნობს? რატომ არის რეპრესირებული ადამიანი ამ ქვეყანაში გერის მდგომარეობაში?

ვახტანგ მეგრელიშვილს ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხი, ცხადია, არ ჰქონდა, თუმცა, ის კი თქვა, პენსიები პრიორიტეტების შესაბამისად ინიშნება, დღეს მთავარი მინიმალური პენსიის ზრდა იყოო. დავით ბერძენიშვილმა ისეთი სახე მიიღო, ზედ ეწერა, ყოჩაღ თქვენ, რეპრესირებულთა საკითხს პრიორიტეტად თუ არ მიიჩნევთო. მეგრელიშვილის თქმით, „შემოზღუდული ბიუჯეტი“ მეტის საშუალებას არ იძლეოდა. სხვათა შორის, ომის მონაწილეთა პენსია ოცი ლარით იზრდება და 60 ლარი ხდება. დავით ბერძენიშვილს არ ესმის, ამ კატეგორიაში რატომ არ გავიდნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი.

მართალია, მინიმალური პენსია ათი ლარით იზრდება, მაგრამ, ივლიანე ხაინდრავას თქმით, გათვალისწინებული არ არის ინფლაცია და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, რაც ზოგადად ყველაფრის ფასს გაზრდის. ამდენად, ხაინდრავას წინასწარჭვრეტით, მომავალი წლისთვის პენსიონერთა მდგომარეობა დღევანდელზე გაცილებით მძიმე იქნება. მისგან განსხვავებით, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ ფასები ასე საგრძნობლად არ გაიზრდება. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ 28-ლარიანი პენსია იანვრიდანვე არ იზრდება, 5 ლარი მარტში დაემატება, ამდენივეთი გაიზრდება სექტემბერში. ეს ნაწილობრივი მატება ზვიად ძიძიგურს სამართლიანად არ მიაჩნია. საერთოდაც, იგი უპრიანად მიიჩნევს, კანონპროექტს სახელწოდება გადაერქვას. — რაკი ნამსახურობა არ არის გათვალისწინებული, პენსია არ ეთქმის, უფრო დახმარებაა. ამიტომ იქნებ ამ დოკუმენტს დაერქვას კანონი „სახელმწიფო შემწეობების შესახებ“, — მიმართა ძიძიგურმა მეგრელიშვილს.

კობა დავითაშვილმა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს მთავრობასთან ერთი წინადადება დააბარა. „დემოკრატიული ფრონტის“ ინიციატივით, სექტემბრიდან პენსიონერებს სტაჟისა და ნამსახურობის მიხედვით უნდა გაეზარდოთ პენსია — თითო ლარი ნამსახურობის ყოველ წელიწადზე. მაგალითად, ვისაც ოცწლიანი სტაჟი აქვს 28 ლარის გარდა დამატებით ოც ლარსაც მიიღებს. გადაცემით კი გადავცემ რაც დამაბარეთ, მაგრამ ამის განხორციელების საშუალებას ბიუჯეტი არ მოგვცემსო, — უპასუხა ვახტანგ მეგრელიშვილმა.

ზოგიერთ მუხლზე ოპოზიციის ჩაძიების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ „აღიარებითი ჩვენება“ მისცა ფრაქციის წევრებს — ეტყობა, ამ საკითხებში კომპეტენტური არ ვარო.

— ჩვენ ამიტომ ვითხოვდით მინისტრის მოსვლას და არა — ტექნიკური პერსონალისა, — ამ ერთ წინადადებაში ჩაატია უკმაყოფილება კობა დავითაშვილმა.

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ერთი რამის თქმა შეიძლება — ხელისუფლება, როგორც ჩანს, კომპრომისს უკვე საკმარისად მიიჩნევს.

**რუსუდან გახარია**

ინფორმაცია

## ახალი აეროპორტის მშენებლობა დაიწყო

**თურქულმა** კომპანიამ „ტავი“ გუშინ თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა ოფიციალურად დაიწყო.

თურქული მხარის განცხადებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიის გასუფთავება და ეს პროცესი დაახლოებით ორ კვირას გასტანს.

„ტავის“ წარმომადგენლების განცხადე-



ბით, აეროპორტის მშენებლობაში დასაქმებულთა დაახლოებით 70 პროცენტი ქართველი სპეციალისტები და მუშახელი იქნებიან.

როგორც თურქული მხარე აცხადებს, ეს პირობა სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტით არის გათვალისწინებული და მის დარღვევას ან რევიზიას „ტავი“ არ აპირებს.

მშენებლობის გრაფიკის მიხედვით, ახალი აეროპორტი ექსპლუატაციაში 2006 წლის 23 ნოემბერს შევა. მისი აშენება თურქულ მხარეს 62 მილიონი დოლარი უჯდება.

## ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო შეიქმნა

**სახალხო** დამცველის აპარატთან ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო შეიქმნა.

საბჭოს პრეზენტაცია დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართება. საბჭო მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობის ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კონსულტაციების მექანიზმების ჩამოყალიბებას.

როგორც სახალხო დაცვის აპარატში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, საბჭოს საქმიანობა მიმართული იქნება აგრეთვე უმცირესობათა უფლებების და თავისუფლების დაცვის და საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ.

დღეს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის რეგიონალური წარმომადგენელი საქართველოში ტომ ტრიერი ერთობლივ დეკლარაციას მოაწერენ ხელს.

## პენსიონერო, იჩქარე!

**პენსიონერს**, რომელიც სამი თვის განმავლობაში კუთვნილ თანხას ბანკში არ მიაკითხავს, ანგარიშზე პენსიის ჩარიცხვა შეუჩერდება.

ამის შესახებ განცხადება პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა გააკეთა.

როგორც მეგრელიშვილმა განაცხადა, ვი-



ნაიდან საქართველოში გარდაცვალების მოწმობების გაცემის სისტემა მოწესრიგებული არ არის, მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, სამი თვის შემდეგ პენსიის ჩარიცხვა ანგარიშზე შეჩერდეს, თუ პენსიონერი საკუთარ თანხას ბანკში არ მიაკითხავს.

პარლამენტში მიაჩნიათ, რომ კანონპროექტის ეს მუხლი მიუღებელია, რადგან პენსიონერს სურვილის შემთხვევაში შეუძლია, როცა სურს, პენსია მაშინ აიღოს.

პენსიონერი, შესაძლოა, საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავიდეს, ამიტომ მას ეს პენსია იქაც უნდა გაჰყვეს, — განაცხადა „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ.

ტყემალაძის ამ მოსაზრებას მთავრობა არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ პენსია საქართველოში იმიტომ გაიცემა, რომ ქვეყანაში სიღარიბის პრობლემები იქნეს დაძლეული.

## კოორდინაციას კომისია გაუწევს

**საქართველოს** თავდაცვის მინისტრმა №335 ბრძანებით, „სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის და ექსპერტთა ჯგუფის დებულება“ დაამტკიცა.

დებულების თანახმად, კომისია ქვეყნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად კოორდინაციას უწევს ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის და ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

გარდა ამისა, დებულების თანახმად, კომისია კოორდინაციას უწევს სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, მათ შორის იარაღის ბრუნვის, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებიდან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას. აღნიშნულ საკითხებზე კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და დასკვნებს.

კომისიის ძირითადი დანიშნულებაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და უშიშროების განმტკიცების, ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნის საკითხებში ხელი შეუწყოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობას.

**ინტერპრესნიუსი**

აღშფოთება

## საგარეო უწყება აპროტესტებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღშფოთებას გამოხატავს რუსეთის ტელეკომპანია „ენტევე“-ს ეთერში საინფორმაციო გადაცემა „სეგოდნიას“ მიერ ნაჩვენები რეპორტაჟის გამო, რომელიც აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო ძალების როტაციას და რეგიონში სამარის სპეციალიზებული სამშვიდობო ბრიგადის გაგზავნას ეხებოდა.**

საქართველოს საგარეო უწყება პროტესტს გამოთქვამს რეპორტაჟში რუსი სამხედრო მოსამსახურის განცხადებაზე, რომ აფხაზეთი ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და საქართველოს შემადგენლობაში სულ ორმოცი წლის მანძილზე იმყოფებოდა.

რუსი მშვიდობისმყოფელი აცხადებდა, რომ აფხაზეთის ისტორია მას სამარაში ლექციების მოკლე კურსზე გააცნეს.

— აღნიშნულ „ლექციებში“ ისტორიული ფაქტების უხეში დამახინჯებანი ატარებენ არა უნებლიე, არამედ აშკარად გამოხატულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ხასიათს და ხელს უწყობენ სამშვიდობო ძალების მოსამსახურეთა შორის მკვეთრად ნეგატიური აზრის ფორმირებას ქართველებისა და, ზოგადად, საქართველოს მიმართ, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ სწორედ საქართველოს მიმართ რუსეთის სამშვიდობოების ნეგატიური დამოკიდებულებით აიხსნება მათი დანაშაულებრივი გულგრილობა კონფლიქტის ზონის ქართველ მაცხოვრებელთა მკვლელობის, დაყაჩაღების, გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულების ფაქტების მიმართ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო შენიშნავს, რომ რეპორტაჟში მოყვანილი ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს სამშვიდობო პროცესში მედიატორის სტატუსით მონაწილე რუსეთის მხარის მიუკერძოებლობას და მისგან სათანადო ახსნა-განმარტებას მოელის.

**ინტერპრესნიუსი**

მკვახე შეძახილი

# პარტიული მეტსახელი „ბეკო“

## თქვენთვის — თხებო, ბატებო და სახედრებო!..

**საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა, არჩეულთან შედარებით დანიშნული მერის უპირატესობის საილუსტრაციოდ, ასეთი რამ ბრძანა: პირდაპირ არჩევნებს ზოგჯერ კურიოზული შედეგები მოჰყვება ხოლმე, აგერ, მაგალითად, ამერიკის ერთ ქალაქში მერად თხა აირჩიეს, მეორეში — სახედარი, სხვა ქალაქში, კიდევ — ბატიო.**

ვერ გეტყვით, ასეთი რამ მართლაც მოხდა თუ არა, მაგრამ, მოდით, ბატონ კოტეს ენაკვიმატობა ღირსეულად დავაფასოთ — ვიცინოთ და ვიხარხაროთ (ამ შერეკილ ამერიკელებზე, რა თქმა უნდა).

 აი, მუცელზე ხელების ტყაპუნს რომ მოვრჩებით და სიცილისგან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს [illegible]



[illegible] რების და გამგებლებისგან განსხვავებით, იცის თავისი უფლებამოსილების საზღვრები, საკუთარი ქალაქის ბიუჯეტი; იცის, რომ პასუხისმგებელია ამომრჩევლების წინაშე; რომ საკუთარ უფლებამოსილებას ვერც თვითონ გადააბიჯებს და ვაგლახად მასაც ვერავინ შეეხება. ისიც იცის, რომ გვერდზე მცოდნე და გამოცდილი თანაშემწეები უნდა დაიყენოს.

ჩვენმა მერებმა და გამგებლებმა კი იციან, რომ უნდა უერთგულონ პრეზიდენტს. თვალებში უნდა უყურონ პრეზიდენტს, უნდა აქონ პრეზიდენტი და გაიმეორონ ყველაფერი, რასაც იტყვის პრეზიდენტი. მათთვის მეტი ცოდნა სავალდებულო არ არის.

ამერიკის კონგრესი გაბაშვილის პარლამენტისგან იმით განსხვავდება, რომ იქ ჯერ ბევრს ფიქრობენ და გადაწყვეტილებას მერე იღებენ. ჩვენთან ჯერ გადაწყვეტილებას იღებენ და... არც მერე ფიქრობენ. ამერიკაში თხებს, სახედრებს და ბატებს მერებად კი ირჩევენ, მაგრამ ამ პატივცემულ საზოგადოებას არავითარ შემთხვევაში არ ირჩევენ კონგრესმენებად და სენატორებად (სენატში რომ ცხენი აარჩევინა, ის რომაელი კალიგულა იყო). ბატონმა კოტემ, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობის პირმა, თავისი „ხუმრობით“ შეგნებულად უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენა იმ ხალხს, ვინც იგი ორჯერ მიიყვანა ხელისუფლებაში: თქვენ თუ გენდეთ, მერად და გამგებლად თხას, ვირს ან ბატს აირჩევთ, რადგან თხაზე, ვირზე და ბატზე მეტი ტვინი არ გაგაჩნიათო!

სხვათა შორის, ეს მოსაზრება, შეიძლება, სწორიც იყოს იმ ადამიანების მიმართ, ვინც თვითონ ბატონი კოტეს დეპუტატობას ხმა მისცა. ეს გულსაკლავი დასკვნა იქიდან გამოვიტანე, რომ ბატონი კოტეს „ხუმრობას“ ნაციონალური პარტიის ქომაგებიდან არავინ გამოხმაურებია. არავის უთქვამს, რას ბრძანებთ, ბატონო კოტე, თხები, ვირები და ბატები კი არა, ჩვენ მმართველი ნაციონალური პარტიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები და გულშემატკივრები, ნაღდი ქართველები ვართო!

სამაგიეროდ, ერთმა არანაციონალმა წაიენაკვიმატა, თუ ამერიკელებმა მერად თხა და ბატი აირჩიეს, სამაგიეროდ, ჩვენმა პრეზიდენტმა თბილისის მერად ჯერ ჭიაბერაშვილი და მერე უგულავა დანიშნაო.

ენაკვიმატობისა რა გითხრათ, მაგრამ ბოლო დროს ბრძნული აზრების გენერატორად კიდევ ერთი უმრავლესობელი დეპუტატი, ბესო ჯუღელი მოგვევლინა.

ბატონ ბესოს პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ თავზე მეტად და ნაციონალური მოძრაობა — კომპარტიის მანდატზე მეტად რომ უყვარს, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ისიც უეჭველია, რომ უაღრესად მოსიყვარულე ბესო პაპას საკუთარი ხალხი ფეხებზე ჰკიდია. თვითონვე თქვა, ბატონო, ტელევიზორში: ჩვენ აგვირჩიეს, ჩვენ გავიმარჯვეთ და, აბა როგორ, ჩვენია ყველაფერი; აი, თქვენ რომ აგირჩევენ, თქვენ წაიღეთ, რაც გინდათ, ის ჰქენითო!

ამის მთქმელი ბატონი ბესარიონი, ეტყობა, ჰაზრზედაც არ არის, სად აირჩიეს და რისთვის აირჩიეს. მისთვის პარლამენტის დეპუტატის ფუნქციებზე ლაპარაკი წყლის ნაყვა იქნება. ამიტომ, ალბათ, სჯობს ასე ვთქვა: — თქვენ ბატონო ბესო, არავის არსად არ აურჩევიხართ. აირჩიეს მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც თქვენ შეჰყევით პარლამენტში. თუ გინდათ, დაგენიძლავებით, რომ პირადად თქვენ დეპუტატად კი არა, მეზობლურ სუფრაზე თამადადაც არ აგირჩევენ. იმიტომ არ აგირჩევენ, რომ თამადობის დროსაც საჭიროა წესების დაცვა. მაგალითად, ასეთის — არ უნდა შეაფურთხო თანამეინახეს.

ისე, შეურაცხყოფა შეურაცხყოფად, მაგრამ ბატონი კოტე, ბატონი ბესო, სხვა ნაცპარტიელი ბატონები და ქალბატონები საკუთარი ანგლობით და ბრძნობით ერთ კარგ საქმეს მაინც აკეთებენ — ამომრჩევლებს, ხალხს (რომელსაც პატივს არ სცემენ) ნაციონალური მოძრაობის ნამდვილ სახეს აჩვენებენ. ასე კარგად, ასე მრავლისმთქმელად ამას ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ გააკეთებდა.

ეეხ, სულ დამავიწყდა, რომ საქართველოში ოპოზიცია, საერთოდ, „არ არსებობს“ და მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლად გაბაშვილი-ჯუღელის დუეტია დანიშნული (პარტიული კლიჩკა „ბეკო“).

**შიმშილისგან რქაგამშრალი თხა**
**ნაცმოძრაობის არვედან**

◉ როცა უთქმელობა დანაშაულია

# თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

## მოგონებები პროკურატურაზე

ქართული სასამართლო რეფორმების მამად აღიარებული მიხეილ სააკაშვილი, ოდესღაც, ვარდების რევოლუციამდე, სასამართლო სისტემის ფარგლებში პროკურატურის რეფორმასაც გეგმავდა. ლაპარაკი იყო პროკურატურისთვის კანონების შესრულებაზე ზედამხედველის ფუნქციის ჩამორთმევაზე, გამოძიების ფუნქციის გაუქმებაზე, იუსტიციის სამინისტროში გაერთიანებაზე, საერთოდ, მის გაუქმებაზეც კი. პროკურატურას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფუნქცია აკისრია. ეს „სხვადასხვა“, საბოლოოდ, სამს არ აღემატება: პროკურატურა — გამომძიებელი; პროკურატურა — გამოძიების ზედამხედველი; პროკურატურა — ბრალმდებელი (ანუ ერთ-ერთი მხარე სასამართლოში, ბრალდების ადვოკატი). ყველა შემთხვევაში, პროკურატურა არის სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილი.

**სააკაშვილის პირმშო და სიამაყე, სასამართლო რეფორმა, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საბოლოოდ ჩაიშალა.** პროკურატურის, როგორც ინსტიტუტის რეფორმაც, ცაში ჩამოკიდებული აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, რომ იგი, საერთოდ, დაკარგავდა ფუნქციას და რაღაც რუდიმენტულ ორგანოდ გადაიქცეოდა, რაც, თავისთავად, უარყოფით გავლენას მოახდენდა, ზოგადად, სამართალწარმოებაზე. მაგრამ ასე არ მოხდა.

თანამედროვე ქართული სასამართლო სისტემის და, მთლიანად, ქართული სახელმწიფოს ტრაგედია ის არის, რომ **დემოკრატიის დროშით მოსულმა ხელისუფლებამ ქვეყანაში წესრიგის დამყარება რეპრესიების გზით დაიწყო**. მართალია, რეპრესიები რევოლუციის აუცილებელი თანამდევი პროცესია, მაგრამ ამ კანონზომიერების აღიარებით ქვეყანას, საზოგადოებას, რაიმე ნუგეში არ ეძლევა.

სააკაშვილის ხელისუფლებამ უფუნქციოდ დარჩენილი პროკურატურა, გენიალურად-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ საკმაოდ რაციონალურად გამოიყენა: **აღუდგინა მას ის ფუნქცია, რაც გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისის საბჭოეთში ჰქონდა — ფუნქცია უსასტიკესი რეპრესიული აპარატისა!**

მართალია, სასამართლო რეფორმა მიხეილ სააკაშვილის უშუალო მონდომებით და ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ თვითონ მოსამართლეები შევარდნაძის ეპოქაში დაინიშნენ (სხვათა შორის, სააკაშვილის უაქტიურესი მონაწილეობით). დღევანდელი ხელისუფლებისთვის ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა სასამართლოების და უშუალოდ მოსამართლეებისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად.

საქმე ის არის, რომ „ვარდების პარლამენტის“ მიერ მიღებული მრავალი რეპრესიული კანონი ანტიკონსტიტუციური და, შესაბამისად, მოსამართლისთვის სახელმძღვანელოდ გამოუსადეგარია. არ არსებობდა გარანტია, რომ ყველა მოსამართლე, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს (ყოფილი თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი) მსგავსად, თავზე, სინდისზე და პროფესიულ თავმოყვარეობაზე ხელს აიღებდა და პრეზიდენტის აპარატიდან წამოსულ მითითებებს უსიტყვოდ შეასრულებდა. საჭირო იყო ისეთი ორგანო, რომელიც სასამართლოს აშკარა უკანონობების კეთებას აიძულებდა.

სწორედ აქ ვარდების ხელისუფლებას მხსნელად პროკურატურა მოევლინა. უფრო ზუსტად, ხელისუფლებამ გაიხსენა, რომ ბნელი საქმეების საკეთებლად აუცილებლად გამოადგებოდა ეს ორგანო, თუ მის ხელმძღვანელად, ვინმე პატარა ვიშინსკის დანიშნავდნენ. ისიც მალე მოიძებნა, — ბატონი ზურაბ ადეიშვილი.

თუმცა, ბატონი გენერალური პროკურორის შეფასებისას, ცოტა გადავაჭარბე — პროკურატურა, ისევე, როგორც სასამართლო, მთლიანად დაექვემდებარება ბატონ ვანო მერაბიშვილს — შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც პროკურატურაში ზურაბ ადეიშვილი ჰქვია, ხოლო უზენაეს სასამართლოში — კოტე კუბლაშვილი.

საბოლოოდ, მთელ სასამართლო სისტემაზე ვანო მერაბიშვილის დიქტატურა დამყარდა.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ თავისთავად, ბატონი ვანო მერაბიშვილია „ცუდი ბიჭი“. ვამბობ, რომ, ზოგადად, ცუდია დიქტატურა, როგორც მმართველობის სისტემა. **მერაბიშვილი, ადეიშვილი, კუბლაშვილი და ძალიან ბევრი სხვა, თვით პრეზიდენტიც კი, მათ მიერვე შექმნილი მართვის დიქტატორული რეჟიმის უპირველესი მსხვერპლი არიან.**



სამართლებრივი ბაზის ვულგარიზაციამ, კანონის, როგორც ავტორიტეტის დევალვაციამ, მთლიანად სასამართლო ხელისუფლების, ანუ განმსჯელი სისტემის დამსჯელ, რეპრესიულ აპარატად გარდაქმნამ უმძიმესი შედეგები მოიტანა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა ჩადენილი დანაშაულისადმი არაადეკვატურად სასტიკი, აგრეთვე სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად, შემამსუბუქებელი და გამამართლებელი არგუმენტების გაუთვალისწინებლად გამამტყუნებელი განაჩენების დადგენაში; მხოლოდ ეჭვის, ან შურისძიების ნიადაგზე ადამიანების დაპატიმრებებში; საერთოდ, უდანაშაულო ადამიანების დასჯაში...

ყველაფერი ეს, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მიმდინარეობს უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეების ყოვლად უპასუხიმგებლო, უდანაშაულობის პრეზუმფციის ცინიკურად დამრღვევი განცხადებების, სისტემატური მუქარების, კანონების უგულებელყოფის, მასობრივი დაპატიმრებებისა და გაუმართლებელი მკვლელობების, სპეცნაზების, კონსტიტუციური უსაფრთხოების, ფინანსური, თუ კრიმინალური პოლიციების საჩვენებელი, თავზარდამცემი თარეშის ფონზე.

შედეგი, ჯერჯერობით, სწორედ ისეთია, როგორიც ხელისუფლებას სურს — ადამიანების უმრავლესობა შიშისგან ენაჩავარდნილია. ისინი, ვინც ამა თუ იმ ფორმით პროტესტის გამოხატვას ბედავენ, ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილია. როგორც იმ ბედნიერ შუა საუკუნეებში, ხალხს არც ახლა აქვს საშუალება, განაჩენი გამოუტანოს (შეაფასოს!) ცალკეული პოლიტიკური მოღვაწის თვითნებობა... ადამიანთა გულისწყრომა ვერ პოულობს კანონიერ გამოსავალს. ისტორია გვასწავლის, რომ ამგვარ მდგომარეობას, როგორც აუცილებელი შედეგი, მოჰყვება ახალი რევოლუცია ან, უკეთეს შემთხვევაში, სრული აპათია ან ნიჰილიზმი. როგორც ნეტარხსენებული ნიკოლო მაკიაველი 400 წლის წინათ ბრძანებდა, ერთიცა და მეორეც ძალიან საშიშია არსებული რეჟიმისთვის.

გულწრფელად რომ ვთქვა, ვფიქრობდი, მომეყვანა პროკურატურისა და სასამართლოს, ცალკეული პროკურორის და მოსამართლის უკანონო ქმედებების მაგალითები. „ვარდების რევოლუციიდან“ გასული ორი წლის განმავლობაში, ბევრი საქმე შევისწავლე, ბევრ სასამართლო პროცესს დავესწარი და მერწმუნეთ, ასეთი მაგალითები ძალიან ბევრი დამიგროვდა. თუმცა, არ მინდა კიდევ ერთხელ ზედმეტად ავაფორიაქო თქვენი გონება. ამგვარ მაგალითებზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებ, თუ მათ არსებობაში ვინმეს, თუნდაც, ნეტარ ბესო ჯუღელს, ეჭვი შეეპარება.

**მთლიანად სასამართლო სისტემაზე უსასტიკესი კონტროლის დაწესებით, ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი, შეცნობით თუ ქვეცნობიერად, დიქტატურას ესწრაფვის.** არ ვიცი, მუშაობს თუ არა საქართველოში რომელიმე ინსტიტუტი იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს, თუნდაც, ხელისუფლებისთვის, ამგვარმა სწრაფვამ. და თუ მუშაობს, აწვდის თუ არა საკუთარი კვლევის შედეგებს ხელისუფლებას. ალბათ, არა. თორემ **ხელისუფლებას ეცოდინებოდა, რომ დიქტატურა, როგორც მმართველობის ფორმა, სულაც არ არის ცრუ დემოკრატიაზე ცუდი. ცუდია, როცა დიქტატურისკენ სწრაფვა დემოკრატიისკენ დაუოკებელ ლტოლვად საღდება.** ისიც ეცოდინებოდა, რომ საკუთარი ხალხი საკუთარ ხელისუფლებას სიცრუეს არ პატიობს და როცა სხვა გამოსავალი არ რჩება, ახალ რევოლუციაზე ფიქრს იწყებს.

**პროკურატურის და მთლიანად სასამართლო სისტემის არარაობად ქცევით, ხელისუფლებამ კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა დიქტატურისკენ, ანუ ახალი სოციალური (სისხლიანი) რევოლუციისკენ.**

### ბიბლიური წყევლა

მეტნაკლებად სიმწვავით, კადრების პრობლემა თითქმის ყველა ნორმალური გზით (არჩევნებით) მოსული ხელისუფლების წინაშე დგება. თუმცა, ვითარება ძალიან სწრაფად წესრიგდება და ცხოვრებაც თავისი გზით მიდის. ყველა მეტნაკლებად მოაზროვნე ხელისუფალმა იცის, რომ კადრების ხშირი ცვლა ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების წარმართვას, უბრალოდ, შეუძლებელს ხდის.

დიამეტრულად განსხვავებული ვითარება იქმნება რევოლუციის შემდგომ პერიოდში. მით უფრო, თუ რევოლუციური ხელისუფლება უარს ამბობს წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაზე და აცხადებს, რომ „სახელმწიფოს შენებას იწყებს ნულიდან“.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ რევოლუციონერთა უდიდესი უმრავლესობა, როგორც წესი, დამანგრეველი ბუნების ადამიანები არიან და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ აღმშენებლობაზე. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისინი ცდილობენ ისეთივე ძალადობრივი და შიშველი ლოზუნგური მეთოდით მართონ ქვეყანა, როგორითაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. რაც მთავარია, რევოლუციური უმაღლესი ხელისუფლება პირველ ხანებში იძულებულია, გაითვალისწინოს დაბალი გონებრივი შესაძლებლობების თანაპარტიელ რევოლუციონერთა ამბიციები და ისინი რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის თანამდებობებით დააჯილდოვოს. შედეგად, ძალიან საპასუხისმგებლო პოსტებზე ყოვლად შეუფერებელი პერსონები ჩნდებიან.

ასეთია, ზოგადად, რევოლუციური საკადრო პოლიტიკის კანონზომიერება. თუმცა, ტრაგიკული მოვლენები სწორედ ამის შემდეგ ვითარდება.

რევოლუციური ხელისუფლება სწრაფად ხვდება, რომ გონებაშეზღუდული, მტაცებლური და დამანგრეველი მენტალობის ადამიანები სრულიად გამოუსადეგარი არიან სახელმწიფო მოხელეობისთვის და საკუთარი რიგების ე. წ. „წმენდას“ იწყებენ. იმედია, გეცნოთ ეს საბედისწერო სიტყვა, რომელმაც კაცობრიობას უზარმაზარი ტრაგედია მოუტანა.

იხ. მე-4 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 288-290.

◉ სოციალური დახმარება

# როცა ადამიანს შია...

## პროგრამა უკიდურესად ღარიბი ადამიანებისთვის

**მაღალი ტრიბუნიდან ბევრჯერ ითქვა, უახლოეს ხანში საქართველოში მოსახლეობის უკიდურესად ღარიბი ფენა აღარ უნდა იყოსო. ეს უპირველესად ნიშნავს იმას, რომ არავინ აღარ იშიმშილებს. არადა, დღეისთვის საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია შექმნილი. მოსახლეობის ნაწილს იმდენად უჭირს, ბევრი მოხუცი ნაგვის ბუნკერთან ეძებს ლუკმას...**

ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც დღეისთვის საქართველოში მოქმედებს, არ იძლევა გამოყოფილი თანხების მიზნობრივად განკარგვის საშუალებას, რადგან ამ სქემით სოციალური დახმარებების განაწილება, ძირითადად, კატეგორიების მიხედვით ხდება. ამის გამო, ხშირად დახმარებას იღებს ის, ვისაც არცთუ ისე უჭირს, ხოლო დახმარების გარეშე რჩება ყველაზე მეტად დაჩაგრული და ღატაკი ადამიანი. ვგულისხმობ თუნდაც, დაბადებით ინვალიდებს, რომელთაც სხვების დაუხმარებლად გადაადგილებაც უჭირთ. ამ კატეგორიის ზოგიერთ ოჯახში შეიძლება ტელევიზორიც იდგეს, მაცივარი და ტელეფონიც, მაგრამ არ ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მინიმალურად მაინც იკვებოს. სხვა თუ არაფერი, ეს მისი ღირსების საქმეა. ქვეყანაც ხომ უპირველესად იმით ფასდება, როგორ პირობებს უქმნის სახელმწიფო ასეთ კატეგორიის ადამიანებს.



ალბათ მიხვდით, აქ ლაპარაკია იმ პროგრამაზე, რომელმაც პრაქტიკულად ჩვენში სიღატაკე უნდა მოსპოს. ეს არის **„სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზაში ფორმირების სახელმწიფო პროგრამა“**. ამ შემთხვევაში განაცხადის შეტანა დახმარების მიღების თაობაზე ყველა ოჯახს შეუძლია, რომელიც ფიქრობს, რომ ის ღატაკია და მას სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს. განაცხადის შეტანა ერთია, მაგრამ მთავარია იმ კატეგორიის განსაზღვრა, რომელსაც ეს დახმარება ნამდვილად სჭირდება. ამიტომ პროგრამის მიზნობრივად განხორციელება დიდადაა დამოკიდებული იმ მუშაკებზე, რომლებიც უშუალოდ დადიან ოჯახებში და აგროვებენ მონაცემებს, კერძოდ, მოიპოვებენ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შემდგომში სპეციალურ დოკუმენტში — ოჯახის დეკლარაციაში, გადააქვთ, ყოველივე კი თავს იყრის მონაცემთა ბაზაში, აქ ხდება მათი შეჯერება და ბოლო ეტაპზე დახმარების მაძიებლისთვის სარეიტინგო ქულის განსაზღვრა.

სწორედ ეს სარეიტინგო ქულა იქნება განმსაზღვრელი, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი მიიღებს თუ არა სოციალური პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას.

საწყენია, რომ პროგრამის მოქმედების დრო მკაცრად განსაზღვრულია — მხოლოდ 3 წელზეა გათვლილი, რა იქნება სამი წლის შემდეგ, არავინ იცის.

ყველა ჩინოსანი საუბრობს იმაზე, რომ დღეს მოქმედი და უახლოეს მომავალში განსაზღვრული საპენსიო კოდექსის ამოქმედების შემდეგაც ჩვენი პენსიონერები პენსიას კი არა, სოციალურ დახმარებას მიიღებენ, მაშინ რატომ ვეძახით მას „საპენსიო კოდექსს“? ეს თუმცა საკითხის სხვა მხარეა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მოსახლეობას რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების 15 წლის შემდეგაც არ უნდა ეღირსოს ნამდვილი საპენსიო უზრუნველყოფა?

არადა, საქარველოში 900 ათასზე მეტი პენსიონერია. თუ სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობას დავეყრდნობით, მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტია უკიდურესად ღატაკი, ე. ი. ისეთი, რომელიც სიღარიბის მიღმა იმყოფება. რეალურად კი სურათი უფრო მძიმე უნდა იყოს, ამიტომ დამეთანხმებით, ნამდვილად დიდი საქმე იქნება, თუ მართლა კეთილსინდისიერად განხორციელდება სიღარიბის დაძლევის ეს პროგრამა და უკიდურესაც ღარიბებსაც ელემენტარული არსებობის საშუალება მიეცემათ.

ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება ის მინიმუმია, რომლის განხორციელებასაც მთავრობა დღეისთვის მოსახლეობას ჰპირდება.

პროგრამაში ჩართულ ადამიანებს მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ. აი, რას ამბობს ამის შესახებ სოცდახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილების უფროსი **თენგიზ გულდედავა.**

— საკომუნიკაციო პუნქტებში შემოსული განცხადებები ცენტრალურ აპარატში იყრის თავს, სადაც მათ უკვე საფოსტო ინდექსების შესაბამისად ალაგებენ, აგზავნიან საკომუნიკაციო პუნქტებში, ჩვენი პუნქტის სოციალური აგენტები უკვე 1800-მდე ოჯახში იყვნენ ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგან ბევრ მათგანს კონტაქტიც კი უჭირს ჩვენს მუშაკებთან. ზოგიერთს ელემენტარულად პურის ფული არა აქვს და ღარიბია, მაგრამ ზოგიერთს ანტალიაში ვერ დაუსვენია და ისიც ფიქრობს, რომ სახელმწიფო მას უნდა დაეხმაროს, ამასთან დაკავშირებით ბევრი ახსნა-განმარტებაა საჭირო, რომ თითოეულს დავუმტკიცოთ, ამ შემთხვევაში რას ექცევა ყველაზე მეტი ყურადღება. ასე რომ, პრობლემა ბევრია, მაგრამ ჩვენი უფროსი სოცმუშაკები ლელა გრიგოლიშვილი, თამარ ლოსაბერიძე, ლელა ასათიანი და სხვები მაქსიმალურად ზრუნავენ იმისათვის, რომ უყურადღებოდ არ დატოვონ ჩვენთან მოსული ნებისმიერი მოქალაქე...

მე ერთ საკომუნიკაციო პუნქტს ვეწვიე და მათი მუშაობა გავაცანით, დარწმუნებული ვარ, სხვაგანაც ასე იქნება, სულ კი საქართველოში 1150 ასეთი პუნქტია, სადაც ყოველდღე ათობით სხვადასხვა ასაკის შეჭირვებული ადამიანი მიდის, მაგრამ ქვეყანაში არსებული საერთო გაჭირვების მიუხედავად , იგი მაინც უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინშია. ცუდია სიბერე, მით უმეტეს, როცა გშია და გწყურია, მართალია, ეტაპობრივი ფულადი დახმარება, ადამიანებს სიღატაკიდან ვერ ამოიყვანს, მაგრამ როცა ოჯახი შიმშილობს და მას გარკვეულ თანხას მისცემ, ელემენტარულად აღარ იშიმშილებს, ეს რა, ცოტას ნიშნავს?

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ საზოგადოება

# გამოუცხადებელი „საინფარქტო“ ომი

**დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანს, ყოველ შემთხვევაში, ამ სტრიქონების მკითხველთა შორის, კარგად ახსოვს გასული საუკუნის ავბედითი 90-იანი წლების დასაწყისი, როცა თბილისში (და არა მარტო აქ) ავტომატების კაკანი, ქვემეხთა გრგვინვა თუ ცალკეული გასროლები თითქოსდა ჩვეულ ამბად იქცა. მაშინ, იმ ძმათამკვლელმა ომმა, რომელსაც ერთხანს, მაღალფარდოვნად „რევოლუციას“ უწოდებდნენ, სრულად თუ არა, მნიშვნელოვანწილად მაინც შეცვალა თითოეული მოქალაქის, მთლიანად ერის შეგნება. წლების შემდეგ მას უკვე ნამდვილი, ვარდებით ხელდამშვენებული რევოლუცია მოჰყვა, რომლის დროსაც ერთი გასროლის ხმაც კი არავის გაუგონია.**

თუ საქართველოს პირველი პირების მტკიცე განცხადებებს გავითვალისწინებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის თაობაზე, რასაც ალტერნატივა არა აქვს, და რის იმედსაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტის წერილი მნიშვნელოვანი მშვიდობიანი ინიციატივებით, თითქოს არ უნდა გვქონოდა იმის შიში, რომ თბილისის (და არა მარტო თბილისის) ქუჩებში... ომი ატყდებოდა!

დიახ, დიახ, სწორედაც რომ, ნამდვილი ომი! აბა, სხვა რა სახელი დავარქვა, ბატონებო, იმას, რაც აგერ უკვე თითქმის ორი კვირაა მთელი დღე-ღამის განმავლობაში დედაქალაქის პრაქტიკულად ყველა უბანში ხდება?

კონკრეტულად რას ვგულისხმობ? რას და ამ დასაქცევ ჩინურ მაშხალებს!

სავსებით გასაგებია, როცა მათ ცალ-ცალობით (თუნდაც მთლიან ჯერად) რომელიმე დღესასწაულზე საზეიმო განწყობის გამოსახატავად ისვრიან, ცას ფერად-ფერადი ფეიერვერკებით აფერადებენ, რომლებიც ასე დიდად შეუყვარდა ჩვენს მოსახლეობას ბოლო წლებში, მაგრამ ავტომატის ჯერივით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, სრულიად მოულოდნელად ამის მოსმენა შინ თუ გარეთ, ხომ გულისგამხეთქია!

ახლა ამ „პიროტექნიკური კონტინგენტის“ შემადგენლობას არ იკითხავთ? თუკი წინა წლებში ამ, ასე ვთქვათ, „გართობის“ ტრფიალთა ასაკი (მცირედი გამონაკლისის გარდა) 15-16 წელს არ აღემატებოდა, ახლა იგი ლამის გაორმაგდა — ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თვალით მინახავს რედაქციის ფანჯრიდან, პირდაპირ შესახვევში „China-ბომბებით“ სამი 25-30 წლის „ძია“ რომ უფრთხობდა გამვლელ-გამომვლელსა თუ იქ მაცხოვრებელს სულიერ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს.

იმის მტკიცებას ვერ მოვყვები, რომ ამ „ვაჟკაცების“ საქციელი ზედმეტი შრომისგან გადაღლის ან მოჭარბებული გონებრივი შესაძლებლობებისა და ხალასი იუმორის ბრალია-მეთქი, ვინაიდან ეჭვის ნასახიც არა მაქვს, რომ ადამიანური სამყაროს ეს უმშვენიერესი ინგრედიენტები არათუ დიდად აკლიათ, არამედ საერთოდ არა აქვთ.



სათამაშოებში გადამალული „China-ბომბები“.

ახლა მათ მცირე ასაკობრივი ჯგუფის „წარმომადგენლებზეც“ მინდა მოგახსენოთ. საინტერესოა, ნუთუ მართლა ზურგის ტვინით ფიქრობენ იმ 6-7-დან 10-15 წლამდე ბიჭუნების (სხვათა შორის, გოგონებისაც!) მშობლები, რომელთა ძეები (ასულები) მთელ უბანს აყრუებენ და სადიზმამდე მისულ სიამოვნებას იღებენ, როცა ვინმეს შიშისგან გული უწუხდება? განა მშობლის უწინარესი ვალი არ არის არასრულწლოვანი შვილის (ბავშვის!) ყველა ნაბიჯი, მით უმეტეს, ფულის ხარჯვა გააკონტროლოს? თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ხშირ შემთხვევაში, სწორედ თავად მამიკო-დედიკოები თავად ყიდულობენ ამ ასაფეთქებლებს შვილების გულის საამებლად თუ ჭირვეულობის დასაკმაყოფილებლად.

ყველაფერი, რაზეც მოგახსენებთ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი და სულაც არ არის ახალი ამბავი. მსგავსი რამ წინა წლებშიც ხდებოდა, თუმცა ახლა მასშტაბი აშკარად უფრო დიდია. თან ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ახალი წლის (შემდგომ ძველით ახლის) დადგომამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ „ომი“ ჩვენ ქუჩებში კარგა ხანია, რაც გაჩაღებულია.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ დავაღწიოთ თავი პატარა თუ ასაკოვან „ტერორისტებს“?

გამოსავალი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ მცირეწლოვან „მეამბოხეებს“ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს (ცხადია, მშობლებთან ერთად) საპატრულო პოლიციამ და, ალბათ, მათზე მეტად — უბნის ინსპექტორებმა, რომელთა ინსტიტუტის აღდგენით ყველანი ასე დიდად ვამაყობთ. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: ერთხელ და სამუდამოდ აღვკვეთოთ ამ იდიოტური (სხვა სიტყვას, უბრალოდ, ვერ გავიმეტებ) „გასართობის“ ქვეყანაში შემოტანა და შემდგომ მისი რეალიზაცია. ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ ტელევიზიის პრივილეგირებული არხები ოპერატიულად გვაჩვენებენ, თუ როგორ მკლავებდაკაპიწებულები ეზიდებიან უაქციზო სიგარეტის ბლოკებით დატვირთულ ურიკებს საგადასახადო დეპარტამენტისა თუ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები — კონტრაბანდული და აღურიცხავი საქონლის ბრუნვიდან ამოღება ხომ ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის ბრძოლაა, მაგრამ, იქნებ ყველამ ერთად ვთხოვოთ ამ უწყებათა ხელმძღვანელებს (და კიდევ საბაჟოს უფროსობასაც) რომ ამ „სამხედრო-საინფარქტო“ საქონლის აკრძალვაზეც იზრუნონ, მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინათ ასეთი მცდელობა ოფიციალურად! — უკვე იყო.

მაშინ მისი სრულიად ხორცშესხმა ვერ მოხერხდა.

ახლა მაინც შეიძლება, იმედი გვქონდეს?

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია

## ევროკომისია აფხაზეთიდან დევნილებისთვის 2 მილიონ ევროს გამოყოფს

**ევროკომისიამ** მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზეთსა და ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთათვის 8 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარება გამოყოს.

ამ თანხიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მსხვერპლთათვის 2 მილიონი ევროა გათვალისწინებული.

ევროკომისიის მიერ გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია, რომ აღნიშნული თანხით გათვალისწინებული ჰუმანიტარული პროექტები დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზეც განხორციელდება.

დახმარების პროგრამით საკვებ პროდუქტებს უკიდურესად გაჭირვებული 35 ათასი ადამიანი მიიღებს. დედებისა და ბავშვების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალებისთვის სამედიცინო დახმარების პროექტი და სხვა.

თანხის ნაწილს ევროკომისია მოახმარს იმ ცენტრების რეაბილიტაციას, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ, აგრეთვე, დაიხარჯება აფხაზეთში დაბრუნებული ქართველი დევნილების კერძო სახლების გარემონტებაზე.

## ქალთა საპენსიო ასაკი კვლავ 60 წლით განისაზღვრება

**პარლამენტის** საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საპენსიო კანონმდებლობა განიხილა. კომიტეტის სხდომას ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელმაც საპენსიო კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ ისაუბრა.

მისი თქმით, ქალთა საპენსიო ასაკი კვლავ 60 წლით განისაზღვრა, თუმცა მათ 65 წლამდე მუშაობის უფლება მიეცათ და ამ პერიოდში პარალელურად პენსიასაც მიიღებენ. რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის ინვალიდთა და პენსიონერთა საკითხს, მათი პენსია ამ ეტაპზე დიფერენცირებულია და მინიმალური თანხა 45 ლარს შეადგენს. აღნიშნული პენსია 2006 წლიდან 89 ლარამდე გაიზრდება.

მედიანიუსი

## მოსამართლეები ზეწოლას განიცდიან

**საპარლამენტო** ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი კოკა გუნცაძე სახალხო დამცველს დაუპირისპირდა.

კოკა გუნცაძის განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიშში, რომელიც გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოისმინა, არაფერია ნათქვამი სასამართლო სისტემაში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის, საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე.

კოკა გუნცაძის აზრით, სახალხო დამცველმა არ გაამახვილა ყურადღება სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე. მას მიაჩნია, რომ სასამართლოში არსებული სისტემა და არსებული მდგომარეობა მხოლოდ იმიტომ არის ცუდი, რომ საქართველოს ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს მოსამართლეებზე.



— მოსამართლეები იმიტომ ექვემდებარებიან პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის დიქტატს, რომ ისინი არ არიან საკმარისად დაცულები და პირდაპირი მითითებები მიდის ხელისუფლებიდან მოსამართლეების ზეწოლაზე, — აღნიშნა კოკა გუნცაძემ.

მისი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი ცდილობენ გაამართლონ ის სქემა, რომელიც პრესის შეზღუდვაში პირდაპირ ადანაშაულებს მედია მფლობელს. თუმცა მისი განცხადებით, სახალხო დამცველი არანაირად არ ამბობს იმას, რომ მედია მფლობელი ისეთივე დაშინებულია, როგორც სასამართლო სისტემა ხელისუფლების მიერ.

## მთავრობა კომპრომისზე წავიდა

**წინასწარი** პატიმრობის დროს პენსიონერებს პენსია არ შეუჩერდებათ. მთავრობის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ ითვალისწინებდა, რომ წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში პენსიონერებს პენსიების აღების უფლება აღარ ექნებოდათ.

თუმცა, გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გამართული მსჯელობის შემდეგ მთავრობა კომპრომისზე წავიდა.

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა განაცხადა, წინასწარი პატიმრობის დროს პენსიონერი პენსიას ჩვეულებრივ მიიღებს.

## უკანონო ობიექტები დაანგრიეს

**თბილისის** მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გამსახურდიას გამზირზე, ისნის რაიონსა და დიღმის მასივში უკანონო ობიექტები დაანგრია.

გამსახურდიას გამზირზე, №21-ში მდებარე უფუნქციო კაპიტალური ნაგებობა ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტთან ერთად დაანგრია.

შენობა 1999 წელს იყო აგებული. თუმცა იქ მცხოვრებთა მოთხოვნით, შენობის დემონტაჟის თაობაზე 2005 წლამდე სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა.

როგორც ჟურნალისტებს ქალაქის ზედამხედველობის სამსახურში განუცხადეს, 2005 წლის 13 იანვარს სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააღსრულებლო დეპარტამენტს შენობა უნდა დაენგრია, თუმცა მისი დემონტაჟი დღემდე არ განხორციელებულა. შენობა ელზა პერანიძეს ეკუთვნოდა.

ინტერპრესნიუსი

# ნეტა როდის შევიძენთ სწორი არჩევნის უნარს ქართველები?

ესაუბრება მაია ნადარეიშვილი



***მაია ნადარეიშვილი** — საერთაშორისო ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. დაიბადა თბილისში, დაამთავრა 55-ე სკოლა, შემდეგ — თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობა წარჩინების დიპლომით.*

*„ვოკალიზები“ რიგით მეხუთე წიგნია, თუმცა, პირველი მოკრძალებული ცდა — ბელეტრისტიკაში. პირველი მონოგრაფია „[illegible], ანუ საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის პრესის სარკეში“ (1997 წ.) მისი სადიპლომო ნაშრომი იყო, რომელიც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის რეკომენდაციით გამოსცა თსუ გამომცემლობამ.*

*საასპირანტო ვადაში დაასრულა ნაშრომი „პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია“, სადაც ამერიკული გამოცდილების პარალელურად, შეისწავლა ბრიტანული, იტალიური და რუსული ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა. შედეგად — ორი მონოგრაფია: „სათაური მრავალსახეობა ამერიკულ პრესაში“ (1999 წ.) და „პუბლიცისტური ტექსტის ანატომია (ლიდი და დაბოლოება)“ (2002 წ.).*

*2002 წლის 22 თებერვალს პირველმა — საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.*

*1992 წლიდან თანამშრომლობს ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრია 1996 წლიდან. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის 1997 წლის პრემიის ლაურეატი.*

*2004 წელს გამოვიდა მისი პუბლიცისტური კრებული „ჯიბით ნატარები საქართველოს რუკა“. მალე იხილავს დღის სინათლეს მისი მეორე პუბლიცისტური კრებული „სადაც მუსიკა ჯადოქრობს“.*

*ფლობს რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს. ინტენსიურად ეუფლება მეუღლის მშობლიურ ჰოლანდიურს.*

**1. რას ფიქრობთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?**
**2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?**
**3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?**
**4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?**
**5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?**
**6. რაზე მუშაობთ ამჟამად?**

● **21-Ე საუკუნის** ქართული მწერლობა ოდნავ სიყვითლეშეპარული და „გარიმეიქებულია“... რაც დასანანია. ზოგადად კი, საქართველოში მუდამ იყვნენ, არიან და იქნებიან ნიჭიერი და საინტერესო კალმოსნები. სამწუხაროდ, ზოგჯერ ძალზე თანამედროვე ავტორები უზოდიშოდ და უცერემონიოდ ირქმევენ პოეტისა და მწერლის სახელს, თითქოს, ეს პროფესია იყოს. მწერლადაც და პოეტადაც მკითხველმა უნდა გაღიაროს. ამას წლები სჭირდება და ხშირად მთელი ცხოვრებაც არ ყოფნის. ცოტა მეტი თავმდაბლობა არ გვაწყენდა, მგონი...

● **წიგნი** „საბაზრო საქონლად“ არ უნდა იქცეს, მით უფრო — საქართველოში და მისი ლიტერატურული ღირსებები არ უნდა დაზარალდეს ბიზნეს-ინტერესების გამო, თორემ კომერციული თვალსაზრისით ღირებული წიგნი, სწორედაც რომ უნდა იყოს შემოსავლის რეალური წყარო ავტორისათვის. ოღონდ ამ ღირსებებს „ბაზარი“ კი არ უნდა აწესრიგებდეს, არამედ პროფესიონალ ლიტერატორთა სათათბირო ან საბჭო.

ახლა ყველაფერი პირიქით ხდება — თუ ღირსეულ ავტორს სამადლოდ რომელიმე „ახალი ქართველი“ წიგნს გამოუცემს, ამითაც „ბედნიერი“ უნდა იყოს, რომელ შემოსავალზე და ბიზნეს-ინტერესებზეა ლაპარაკი (ნიმუშად 30-წლიანი ინტერვალით გამოცემული „დაჩის ზღაპრებიც“ კმარა).

მკითხველი მომავალში არც „ცხოვრების სარკეს“ და არც - „გამადიდებელ შუშას“ ეყოლება... ალბათ, საუცხოო დრო იყო, როცა ხარის ტყავი ან პერგამენტი ძვირი ღირდა და მხოლოდ ღირებულ ნაწარმოებზე იხარჯებოდა. ან იქნებ დღევანდელი გადასახედიდან ჩანს ასე ყველაფერი გაიდეალებულ-სრულყოფილი და მაშინაც იგივე პრობლემაზე დარდობდა გემოვნებიანი მკითხველი თუ ნიჭიერი მწერალი? ვფიქრობ, მასა არასდროს გასცდება მასკულტურის პროდუქციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს ნამდვილი ლიტერატურის გაქრობას. ფაქტია, დღეს შექსპირს არ ჰყავს იმდენი მკითხველი, რამდენიც „ჰარი პოტერის“ ავტორს. დრო ყველაფერს სათანადო ადგილს მიუჩენს.

● **საქართველოს** მარადიული პრობლემაა, რომ პოლიტიკოსთა უმრავლესობას „საკუთარი თავი უყვარს საქართველოში და არა — საქართველო საკუთარ თავში“. ხალხის უდიდესი პრობლემა კი ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა მუდამ სადღაც ინტეგრირებას ცდილობს და ამ მიზანს იოლად ეწირება საუკეთესო, რაც გაგვაჩნია. ნეტა როდის შევიძენთ სწორი არჩევნის უნარს ქართველები?

● **მიმაჩნია**, რომ ტრადიციული კლასიკური მწერლობის დამსახურებაა ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბება.

სამაგიდო წიგნი ყოველ წუთს სჭირდება მფლობელს. თითქმის მთლიანად მოხაზულ-მონიშნული, შესაძლოა, გვარიანად დაფურცლულიც, მშვიდად დევს და... ლამის ყოველი სტრიქონი ახლობელი და ნაცნობი გამხდარა. ასეთი სამაგიდო წიგნი რამდენიმე შეიძლება დაუგროვდეს ადამიანს. სამაგიდოსთან ერთად მაქვს ინტერნეტული წიგნები, რომლებიც თვეობით მელოდება მინიმიზირებული.

● **მწერალს** სიტყვის შეგრძნება და მისი სიყვარულის ნიჭი უნდა ჰქონდეს. მაშინ არც ქართულს (ან ნებისმიერ სხვა ენას) დააკნინებს და შეურაცხყოფს, არც ამ საკითხზე მსჯელობა გახდება აუცილებელი.

● **ამჟამად** აქამდე შექმნილს ვაბინავებ, ანუ — გონებრივად ვისვენებ. მაგალითად, „ვოკალიზები“ 2002 წლიდან სტამბაში იყო დასაბეჭდად გამზადებული, მაგრამ მისთვის არ მეცალა. შემდეგი იქნება პუბლიცისტური კრებული: „სადაც მუსიკა ჯადოქრობს“, რომელიც ასევე კარგა ხანია დავასრულე. მაქვს რამდენიმე სულ ახალი იდეა და უკვე დაწყებული საინტერესო პროექტებიც, რომლებიც ერთი-ორი წლით შევაჩერე, რადგან წინ გადმოიწია პირადმა ცხოვრებამ. მერე რა იქნება, განწყობაზეა დამოკიდებული.

ჩაიწერა
**თამარ შაიშმელაშვილმა**

## მაია ნადარეიშვილი

**ორი ესე**

### რეალური პოლიტიკა

**ნაწვიმარი** ცა ჯინსისფრად გახუნებულა. ნოემბრის სითბო დაცლილ ბატარეასავით ხელიდან გვეცლება, გვლალატობს ბოლო წუთებში. სუსხის სურნელს აფრიალებს ქარი. წყლიანი თვალებით უკან ვემალები გაუცხოებას.

ხეები პოკერს თამაშობენ ფოთლებით, თუმცა იციან, რომ ვერც ერთი მოიგებს ამ ხელს ისევე, როგორც შარშან ან შარშანწინ.

— მოდი, რომელიმე ჩვენგანის ნაცვლად ითამაშე, — მთავაზობენ გულკეთილად. კარგა ხანია თავს ვარიდებ ყველაფერს აზარტულს. უარყოფის ნიშნად თავს ვაქნევ.

ხეებმა იციან, რომ სამყარო ერთ კოჭლ მოხუცს ეყრდნობა. ამიტომ არაფერი უკვირთ და არც არაფერი სწყინთ. მე რატომღაც განვიცდი დაფურცლული ყვავილების დანახვას, ვერ ამიხსნია. ხეებმა, ალბათ, ესეც კარგად იციან.



ნაგავში იქექება —
ძაღლი,
კატა,
ღორი...

ტყუილად გიხარია, რომ ადამიანი ხარ. მაინც მოგიწევს ნაგვის ქექვა, წუმპეში ფეხის გასვრა. ნეტავ, გათოვდეს!

როცა ძვალს მოგიგდებენ, ამით ბრბოსგან გამოგარჩევენ და მათი აზრით, უზომოდ უნდა გიხაროდეს. მე კი რატომღაც უკან ვტრიალდები და სხვა კუდამოძუებული ძაღლების მსგავსად, შინისკენ მიმავალ გზას ვეძებ.

ამ დროს სიმარტოვე ისე შეგცივდება, რომ ნებისმიერი სულიერის სიახლოვე გაგითბობს ლოყებს. ხეებმა იციან, რომ ამას სიმშვიდე მოაქვს. პოკერსაც ამიტომ თამაშობენ ნაწვიმარი ფოთლებით.

ნაგავში იქექება ძაღლი, კატა, ღორი და რომელიმე ჩვენგანიც...

თვალს ვარიდებ უსიამოვნო პეიზაჟს და ძუნწივით ვიზოგავ სიცილს.

ცრემლებივით ვკარგავთ ხოლმე ოცნებებს.

### ნიკალა

**ვარდების** ბუჩქით მოხიბლული ირემი წუთით შეყოვნდა. თითქოს, წარბებიც აზიდა გაოცებისგან. ყურაცქვეტით მოჰხედა მონათესავე სულს და მხატვარმაც სწორედ ასეთი დაიმახსოვრა. ეს ის კრთომის წამია, როცა მიწიერი საკუთარი სულის არსებობას შეიგრძნობს პირველად.

და ვკვდებით იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს საკუთარი შიშველი სულები ვიხილოთ. ამ ცხოვრებაში მათ ისე გულმოდგინედ ვმალავთ, რომ ერთმანეთის შეცნობის უნარს თანდათან ვატანთ საუკუნეებს.

ჩურჩულით ამხელ, რომ გენატრება ბევრი ისეთი რამ, რაც არასდროს გინახავს. ძველ ქუჩაზე ეძებ მყვირალა, გულმოდგინე მედუქნეს, რომ ასწლიანი ღვინო მოატანინო ნესტიანი სარდაფიდან.

გზად რესტორანში შევდივართ მოწყენილობის გასაფანტავად. ერთმანეთის თვალის ასახვევად განგებ ვიმხიარულებთ გარეგნობას. მზერაგაყინულ ოფიციანტს უკვეთავ „ბენგალურ ღიმილს“, „სიყვარულის ჩონჩხებს“ და ორ „სპირტიან ფარაონს“ ყინულით. ამით მთავრდება მენიუს ავტორის გონებამახვილობა. იძულებით ვუსმენთ არქაულ ტანგოს. შეკვეთილი ეგზოტიკური ვახშმის შესახედაობა საბოლოოდ გვიკარგავს მადას. მძულს ეს რესტორანი! შენ ის უფრო გალიზიანებს, რომ იგი გართობის ერთადერთი კუნძულია მთელ ქალაქში.



მაშინაც საუკუნე მთავრდებოდა. სურვილები და ოცნებები ერთმანეთში ირეოდა.



დარბაისლური ნაბიჯით იცის „გრაფმა“ ხელოსანთა რიგებთან ჩავლა. დუქანში თავაწეული ჩადის და მერე — ხან სვამს, ხან ხატავს. არ უყვარს ორი საქმის ერთდროულად კეთება და არც ის, თუ ვინმე ფერმწერს დაუძახებს ან ხატვაში ხელს შეუშლის. მაშინ ყველაფერს ტოვებს და ღვინოს ეძალება.

ჩვენც ვსვამთ, რომ რაღაცით მაინც გავერთოთ. უფრო კი დრო გაგვყავს, რადგან წლების მანძილზე ეს უკვე ჩვეულებად გვექცა და აღარც გვსიამოვნებს. გამთენიისას ერთი გიჟური იდეა გამიჩნდება — მარტოსულთა მსოფლიო სახლის შექმნა, სადაც ყველაფერი გაუქმდება, რადგან ისედაც არავის აღარაფერი აინტერესებს. აღარც პრობლემები იქნება და მშვიდად დაველოდებით სიკვდილს, რომ ბოლოსდაბოლოს ერთმანეთი შევიცნოთ...

რაც მეტს გისმენ, უფრო მემატება ეჭვი, რომ ღმერთი მართლაც მოკვდა:

აღარც ვერის ბაღებია, აღარც ტივები მტკვარზე მხიარული, მოქეიფე ყარაჩოხელებით...

არც სიყვარული ყოფილა, არც მარგარიტა ელზასელი — მილიონი ვარდის მფლობელი...

არ მასვენებს შიში, რომ კრთომის წამი დასრულდება და პატარა ირემი ერთი ნახტომით დატოვებს ჩარჩოს...

თუ ასეა, ჩვენც იქ უნდა ვიყოთ, სადაც ღმერთია!..

და ვკვდებით მშვენიერების სახელით მისივე ნახვის მსურველნი, „ვარდის სული კი რჩება მარად გარდაუცვლელი“...

**დრომ მათქმევინა**

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ქვემეხი თუ სირცხვილი?



რას ასაკი და რისი გონება,
დღეს სუყველაფერს ვუცქერ ბავშვივით,
სიტყვა — „დაშლილი“ გაგვგონებათ, —
დღეს საქართველო არის დაშლილი.
რას ერქვა ნეტა აღმოცისკრება,
ნეტა რას ერქვა აღმობრწყინება,
სუყველაფერი არის მტრის ნება,
მტერს კი დათრგუნვა არ მოსწყინდება.
დამსგავსებია ქორწილს ქელეხი,
რომ გვეტირება, მაშინ ვიცინით,
მინდა დავარქვა ამ ლექსს „ქვემეხი“,
თუმცა, თავიდან ერქვა „სირცხვილი“.
დაბადებულვართ კაცნი მონებად,
სისხლწყროზე მდერის ავსული,
აი, მომავლის გაცისკროვნება,
აი, აწმყო და ჩვენი წარსული.
როგორ გაქრა და როგორ განქარდა, —
ღმერთო, რაითაც ჩვენ
გვიფარავდი,
ის ეროვნული გული
გაქვავდა,
რომელიც ლექსით ენთო
მარადის.
მე იმედამდე ვერც კი მივედი
და არაფრისა არ მაქვს
იმედი,
რადგან წერტილი გახლავთ
მცირედი,
ამ ლექსს ვამთავრებ „წერტილ-მძიმეთი“;

* * *

ვიღაც ისვენებს სადღაც ჩეროში,
მე ბილიკ-ბილიკ დავალ ცეტივით,
აღარც კი მახსოვს, საქართველოში
იყო თუ არა — „მრავალწერტილი“.

2005 წ. 14 დეკემბერი

**როცა უთქმელობა დანაშაულია**

# თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

**(მესამე გვერდიდან)**

როცა პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი უახლესი გარემოცვის წევრები დაუფარავი სიამაყით და ერთგვარი ნიშნის მოგებითაც კი აცხადებენ, აი, ჩვენ, ესა და ეს ჩვენი მეგობარი, დამსახურებული რევოლუციონერი დავსაჯეთო, რევოლუციონერთა (პარტიის წევრთა) შორის „წმენდის“ დაწყებას ნიშნავს.

**ქართულ რევოლუციურ ხელისუფლებაში კადრების გაუთავებელი ცვლილებები, ძირითადად, დანიშნულთა არაკომპეტენტურობაზე და მათი მუშაობის სტილითა და შედეგებით პრეზიდენტის უკმაყოფილებაზე მიუთითებს.** რევოლუციური კადრების სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების სურვილზე მიუთითებს ე. წ. **„ჩემი გუნდის“ პრინციპიც,** როცა დიდ თანამდებობაზე დანიშნული პირი ცდილობს, მისთვის მინდობილ სტრუქტურაში უკლებლივ ყველა მოსამსახურე გამოცვალოს და მათ ადგილზე ახლები დანიშნოს. რაც მთავარია, დანიშნოს არა პროფესიული კომპეტენციის, არამედ პარტიულობის, პირადი ერთგულებისა და სანდოობის პრინციპით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვარდების რევოლუციიდან გასულ ორ წელიწადში ფინანსთა, იუსტიციის, თავდაცვის სამინისტროების, რკინიგზის დეპარტამენტის, თბილისის მერიის, იმერეთის ადმინისტრაციის და სხვა უწყებების ხელმძღვანელები რამდენჯერმე შეიცვალა და ეს უწყებებიც ახალ-ახალი „გუნდებით“ დაკომპლექტდა, ადვილი წარმოსადგენია, რა ეფექტიანი უნდა იყოს მთლიანად, სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაობა.

ცოდოს ვერ ვიტყვი, ხელისუფლება, რა თქმა უნდა, თავისი ამ იძულებითი საკადრო პოლიტიკის შენიღბვას, „გაკეთილშობილებას“ ცდილობს. ამიტომ ცხადდება ე. წ. „კონკურსები“, როცა ამა თუ იმ სტრუქტურაში დასასაქმებელთა სია, ყოველ შემთხვევაში, მისი 90 პროცენტი მაინც, წინასწარ ცნობილია. ამის კლასიკური მაგალითი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი „კონკურსი“.

**ხელისუფლება ცდილობს „თავისი კაცი“ დანიშნოს არა მარტო სახელმწიფო უწყებებში, არამედ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ სტრუქტურებშიც.** თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ.

გადახედეთ საქართველოს პარლამენტს. ჩვენ, ამომრჩევლებს საშუალება გვაქვს ტელევიზიით თვალი ვადევნოთ მის მუშაობას და დასკვნებიც გამოვიტანოთ. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ პარლამენტის წევრთა უმრავლესობის უმრავლესობა თავისი გონებრივი შესაძლებლობებით, აშკარად არ შეეფერება იმ კრიტერიუმებს, რასაც პარლამენტის წევრის თანამდებობა მოითხოვს. რბილად რომ ვთქვა, მათ უჭირთ საკმაოდ მარტივი დებულებების დასაბუთება, უჭირთ მსჯელობა, უჭირთ რაიმე თემაზე საკუთარი აზრის გამოთქმაც კი. ამიტომ, ჩვენ, ამომრჩევლები ძალიან ხშირად, ვუყურებთ და ვისმენთ არა საკითხის სერიოზულ განსჯას, არამედ ოპონენტებთან არაფრის მთქმელ და არაფრის მომტან ქილიკს, უსაგნო ენაკვიმატობას და, არცთუ იშვიათად, დედის გინებას და მუშტი-კრივსაც.

**ეს იმის ბრალია, რომ თავის დროზე, „რევოლუციურმა ტრიუმვირატმა“ საკუთარ საარჩევნო სიაში პიროვნებები ჩაწერა არა მათი გონებრივი შესაძლებლობების, განსწავლულობისა და პროფესიონალიზმის, არამედ „ტრიუმვირატის“ რომელიმე წევრისადმი ერთგულებისა და რევოლუციის წინაშე დამსახურების, ხშირად, არარსებული დამსახურების მიხედვით.**

პარლამენტში ამ გზით მისული დეპუტატები, იქნებ, თავისთავად, კარგი ადამიანები, თავს არაკომფორტულად და არაბუნებრივად გრძნობენ. მიღებული საჩუქრისთვის ისინი იძულებული არიან, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ბრმად მხარი დაუჭირონ იმას, „ვინც კაცად აქცია“. მათი შესაძლებლობა კი, როგორც გითხარით, ქილიკის, ენაკვიმატობის და ძალადობის იქით ვერ მიდის. სამწუხაროდ, ესეც ხშირად ცუდად გამოსდით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ის დეპუტატები აღმოჩნდნენ, ვისაც დამოუკიდებლად აზროვნების, განსჯის, გადაწყვეტილების მიღების სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდათ. მათგან ისინი, ვინც საკუთარ ამბიციებს აჯობა, ოპოზიციაში გადაბარგდა. ვინც ვერ აჯობა, პირში წყალი დაიგუბა. თუმცა, მოაზროვნე ადამიანები თევზის ან სირაქლემას პოზაში დიდხანს ვერ ძლებენ. ასე რომ, უმრავლესობის საპარლამენტო ინტელექტუალურ ძალებს ახალი სერიოზული დანაკარგები ელის. მით უარესი ქართული სახელმწიფოსთვის — საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო ერთობ მწირი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანების ამარა დარჩება!

ახლა, ორიოდე სიტყვით, არასამთავრობო სექტორში „საკუთარი კაცის“ დანიშვნაზეც ვთქვათ.

ომბუდსმენი, ანუ სახალხო დამცველი, საერთო აღიარებით, დემოკრატიის მონაპოვარია. ყოველ შემთხვევაში, ასე ბრძანებდა სააკაშვილის წინამორბედი პრეზიდენტი შევარდნაძე. ომბუდსმენი უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქის კანონიერი უფლებების დაცვის გარანტი, შეუვალი ავტორიტეტი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ეროვნების, პარტიული და რელიგიური კუთვნილების, სქესის და თანამდებობის მიუხედავად.

**საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა აბსოლუტურად გარანტირებულია. ეს ნიშნავს, რომ ომბუდსმენის შესაძლებლობები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ძალიან მაღალია. აქედან გამომდინარე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობა. ისე მნიშვნელოვანი, რომ ომბუდსმენის და მისი აპარატის მუშაობის ეფექტიანობით თავისუფლად შეგვიძლია ქვეყანაში დემოკრატიზმის ხარისხის შეფასება.**

ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს თანამდებობა კარგა ხანს ვაკანტური იყო. ხანგრძლივი ძიების შემდეგ კი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ რეკომენდაციით, ამ თანამდებობაზე პარლამენტმა ყოფილი ჟურნალისტი სოზარ სუბარი (სუბელიანი) დაამტკიცა.

სოზარს დიდი ხანია ვიცნობ. ოდესღაც ერთადაც გვიმუშავია. ვიცნობ მის ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც და შემიძლია სრული გულწრფელობით და პასუხისმგებლობით ვთქვა: სოზარ სუბარი არის უწესიერესი ახალგაზრდა კაცი, უაღრესად განათლებული, კარგი ჟურნალისტი, კარგი მეგობარი და საუკეთესო მეოჯახე. ჟურნალისტად მუშაობისას პრინციპულობითაც გამოირჩეოდა.

ეტყობა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა იცოდა ამ თვისებების შესახებ და მისი კანდიდატურა სახალხო დამცველის პოსტზე პარლამენტს ამიტომაც წარუდგინა. უფრო გულახდილი და პრინციპული თუ ვიქნები, **სოზარ სუბარი სახალხო დამცველის პოსტზე პრეზიდენტმა დანიშნა და მოადგილედ უცნობი ყმაწვილი რევოლუციონერი ბაჩო ახალაია დაუნიშნა.**

კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს სიმპათიებს, პატივისცემას და, გნებავთ, სიყვარულს სოზარ სუბარისადმი. ძალიან გამახარა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტზე მისმა დანიშვნამ, მაგრამ ამ თანამდებობაზე მოღვაწეობით სოზარმა მხოლოდ სრული პიროვნული უსუსურობის გამოვლენა და, საერთოდ, ომბუდსმენის ინსტიტუტის სრული დისკრედიტაცია მოახერხა. ამაში მას, ალბათ, საკუთარი პირველი მოადგილეც სერიოზულად „დაეხმარა“. ომბუდსმენის აპარატმა, უბრალოდ, დაივიწყა, რომ ე. წ. „მაწანწალა ბავშვების“, პატიმრებისა და უმწეო მოხუცების გარდა, ამ არეულ ქვეყანაში კიდევ ბევრი მოქალაქის უფლებაა დასაცავი; ძალიან ბევრი საეჭვო ღირებულების კანონია განსასჯელი; ძალიან ბევრი მოხელის თვითნებობაა ალსაკვეთი...

სოზარ სუბარის ცოდნა, გამოცდილება, პრინციპულობა, გნებავთ, ბრძოლის ჟინი, აბსოლუტურად უკმარი აღმოჩნდა ამ თანამდებობისათვის.

**თუმცა, ომბუდსმენის — სახალხო დამცველის იდეის სახელის გატეხვაში მხოლოდ მისი დადანაშაულება მთლად კორექტულად არ გამოიყურება. სოზარის სერიოზული (ანუ გამოუსწორებელი) შეცდომა ის არის, რომ იგი ამ თანამდებობაზე ისე დათანხმდა (ალბათ, ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო), კარგად არ გააცნობიერა, რას მოითხოვდნენ მისგან მისი დამნიშნავები.**

ომბუდსმენის იდეის დისკრედიტაციაში მთავარი დამნაშავე არის კადრების შერჩევის რევოლუციური მეთოდი და ნებისმიერ თანამდებობაზე „ჩემი კაცის“ დანიშვნის დაუძლეველი სურვილი. იმის შიში, რომ ოდესმე ჩემს სურვილს ვინმე წინ არ აღუდგეს და ოპონენტობა არ გამიბედოს.

ბოდიშს ვიხდი სოზარის წინაშე, თუ უნებლიეთ გული ვატკინე, მაგრამ იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა



და ბევრი ხელისუფლების (მშვიდობიანად) შეცვლას უნდა მოესწროს (ისევე, როგორც გაურკვევლობაში მოხვედრილი ბევრი სხვა მოაზროვნე ახალგაზრდა). სამწუხაროდ, საკუთარი ხალხის თვალში საკუთარი პიროვნების რეაბილიტაციას სოზარი, ალბათ, ვეღარ მოახერხებს და ეს ძალიან გულსატკენია.

საერთოდ, სახალხო დამცველის თანამდებობაზე, თუნდაც, უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, უცხო ენებზე მოჟღურტულე ახალგაზრდის დანიშვნა დიდი უგუნურება მგონია. აქ საჭიროა გამოცდილი, ავტორიტეტული, პრინციპული, უშიშარი, საზოგადოების და სამართლის მცოდნე მებრძოლი კაცი. ეს არ არის ის თანამდებობა, სადაც აუცილებელია პარტიული კუთვნილება, კულუარული თამაშების ცოდნა, პრეზიდენტისადმი დეკლარირებული ერთგულება, ან ახალგაზრდული რადიკალიზმი.

**სოზარ სუბარზე გულისტკივილით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ის „კარგი ბიჭია“ და, ჩემი აზრით, შეცდომა მოუვიდა, თორემ იუსტიციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული თეა თუთბერიძის და მისი მასტის „მოღვაწეებისადმი“ თანაგრძნობის გამოსახატავად ენა არ მომიბრუნდება. ეს უვიცი და თავხედი გოგონა რევოლუციის ტიპიური ნაყოფია. ზუსტად ისეთი, გასული საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოეთში საკუთარ მშობელსაც მაუზერის ენაზე რომ ელაპარაკებოდა.** იგი, უბრალოდ, რევოლუციამ ამოატივტივა, როგორც სახაშლამე ქვაბი ამოატივტივებს ხოლმე ქაფს. მისთვის რევოლუცია, რომელიც გონს და ავტორიტეტს არ სცნობს, თავის გამოსაჩენად ერთადერთი შანსი იყო და კოლექტიურმა თეა თუთბერიძემ იგი ხელიდან არ გაუშვა — დროშების ფრიალის, გონის დაკარგვამდე ღრიალის და უამინდობაში წინ და უკან სირბილის სანაცვლოდ კომპენსაცია მოითხოვა. და მიიღო კიდეც. მსხვერპლია-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან რევოლუცია რომ არა, აკადემიური ჩამორჩენილობის გამო უნივერსიტეტის კურსდაუმთავრებელი თეა თუთბერიძე სოფლის ამწიოკებელი კაპასი დედაკაცი იქნებოდა და არა ბრძენი და უჩინარი „თავსაფრიანი დედაკაცი“.

**უბედურება ის არის, რომ რევოლუცია, რევოლუციური ხელისუფლება დავალებულია კოლექტიური თეა თუთბერიძისგან და ვიდრე გაწირავდეს, იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მის მოთხოვნებს.**

„ჩემი კაცის“ სინდრომით დაავადებულ ხელისუფლებას უყურადღებოდ არც სპორტი დარჩენია. ჯერ იყო და, შევარდნაძის „გადამგდები“ კოტე გაბაშვილის საპატივცემოდ, მთელი ქართული სპორტის ბედ-იღბალი გოკა გაბაშვილს მიანდო. მერე ცალკეული სპორტული ფედერაციებისთვისაც მოიცალა და განსვენებული ნოდარ ახალკაცის ოჯახის საპატივცემოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა პატარა „ნოდარჩიკას“ უფეშქაშა.

მოდი, ნუ ვიკამათებთ, რომ ნოდარჩიკ ნოდარიჩი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ქართული ფეხბურთის მამებმა და გულშემატკივრებმა აირჩიეს. ასეთი აზრი მათ თავში არასოდეს არ მოუვიდოდათ, რადგან ყველამ იცოდა და იცის, რომ ახალგაზრდა ნოდარ ახალკაცი ამ თანამდებობისთვის ყოვლად შეუფერებელი და გამოუსადეგარია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კონფორმისტმა ე. წ. „სუბიექტებმა“ (ისინი სულ 26 არიან) ვერ გაბედეს წინ აღდგომოდნენ პრეზიდენტის ნებას და დეპუტატ დავით კირკიტაძის დაწოლას. შედეგსაც უკვე იმკიან — საერთაშორისო არენაზე ქართული ფეხბურთის კრახი და სრული ქაოსი ქვეყნის შიდა საფეხბურთო ცხოვრებაში.

ყველაფერი ეს, ომბუდსმენის ინსტიტუტის გაბიაბრუებიდან, სამტრედიის „ლოკომოტივის“ განადგურებამდე, არასამთავრობო სექტორზე სახელმწიფო კონტროლის დამყარების მცდელობამ და რევოლუციურმა საკადრო პოლიტიკამ მოიტანა.

ამ პოლიტიკის ბრალია, რომ თბილისის მერი ჭიაბერაშვილი საჯაროდ დედას იგინება, მის მემკვიდრე გიგი უგულავას საზოგადოებრივი აზრი ფეხებზე ჰკიდია, იმერეთის ერთი გუბერნატორი რესტორანში ბოთლზე დაჯდომით ერთობა და მეორე — ჟურნალისტს თავპირს ამტვრევს, თბილისის საკრებულოში დეპუტატი ბიძინა ბგერაძე „ხელი აიღე, ბიჭოს“ ენაზე ლაპარაკობს, საფინანსო პოლიციის ყმაწვილი უფროსი კანონს და სამართალს არაფრად დაგიდევთ, მოსამართლეებს ყოველთვის ის განაჩენი გამოაქვთ, რასაც მერაბიშვილის პროკურორები (არ გეგონოთ, გენერალური პროკურორის და შს მინისტრის გვარები ერთმანეთში მერეოდეს!) მოითხოვენ, მინისტრები ცელქობენ და თვითნებობენ, დეპუტატები ოინბაზობენ, პოლიციის ჩინები საკუთარი კაბინეტებიდან ნარკოტიკებს ჰყიდიან, მებაჟეები მექრთამეობენ, პროკურორები მეწარმეებს წილში უჯდებიან...

ამის უფლება მათ რევოლუციამ და პრეზიდენტისადმი დეკლარირებულმა ერთგულებამ მისცა.

**რევოლუციური საკადრო პოლიტიკა — უღირსთა აღზევება და დაუმსახურებელი თანამდებობებით ახალგაზრდობის გარყვნა, დიქტატურისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი და ბიბლიური წყევლის ასრულებაა: ღმერთი მოგივლენთ ახალგაზრდა და უვიც მმართველებს.**

**თეიმურაზ ქორიძე**

**(გაგრძელება იქნება)**

◎ გენერალისიმუსის გზა

ბერიას ეს სურვილი აღსრულდა, და თუმცა თვითონ მიუნხენში არასდროს ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ მისმა დღიურმა ჩააღწია იქ. საინტერესოა, რომ რუსმა შოვინისტებმა, რომლებმაც ბერიას ბრალად დასდეს იმპერიალიზმის აგენტობა, სასწრაფოდ დახვრიტეს იგი, ხოლო გორბაჩოვს, რომელმაც სამშობლო განახორციელა ბერიას იგივე გეგმები, ხელი არ ახლეს. გორბაჩოვს და ელცინს, რომლებმაც რატომ და რისთვის ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანეს, დააცილეს მთელი სახელმწიფო ხალხი, მისი პარტია, განსაკუთრებით უბრალო რუსი ადამიანები, დიდი ხანია უნდა მიეღოთ სამართლიანი განაჩენი, მაგრამ რუსეთის შოვინისტებმა ეს არ გააკეთეს, ამას ხალხი აარიდეს.

მოხვდა იმ ადგილზე, რომლის ღირსია მხოლოდ ის ადამიანი, საუკუნეში ერთხელ რომ იბადება?..

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა, ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის მოსვლის ამბავი რომ შეიტყო, ლეგენდარული ანტონი იდენს წარმოთქვა:

— კარგია... ბოლოს და ბოლოს მონის შთამომავალი მონათა სახელმწიფოს სამართავად მოგვევლინა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა ფრთხილად შენიშნა:

— სტალინიც ხომ... უბრალო მეწაღის შვილი გახლდათ?

— ვიცით, ანტონი. სტალინის დედა, ამბობენ, ქართველ თავადებს შინამოსამსახურედ ედგა-ხოლმე... ასეთი ადამიანები, როგორიც სტალინია, უბრალო, მით უმეტეს, მთვრალი მეწაღეებისაგან არ ჩნდებიან. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი თავადური წარმოშობისაა, ანტონი!..

ანტონი იდენმა პასუხის ნაცვლად ჩაიცინა, თითქოს ეთანხმებაო.

— ჩვენთვის ყველაზე საშიში მტერი იყო გენერალისიმუსი ჯო[1], — თქვა ჩერჩილმა. — რა ვაკეთოთ ახლა, ანტონი? მხარ-თეძოზე წამოვწვეთ და ვინებივროთ?

ანტონი იდენი ჩაფიქრდა.

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის ავტორიტეტი არნახულად გაიზარდა. მისმა ხალხმა საბრძოლო და პოლიტიკური გამოცდილება შეიძინა. საბჭოების წარმატებათა გავლენით მძაფრად იზრდება დასავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიების ძალა. ამიტომ შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ „გენერალისიმუსი ჯო მკვდარია და შეგვიძლია მხარ-თეძოზე წამოვწვეთ და ვინებივროთ?“ როგორც თქვენ ბრძანეთ, თითქოს ჩემი გამოცდა მოინდომეთ. როგორც თვითონ მოგეხსენებათ, ულმერთოს არ შეიძლება ენდო. ამიტომაც ნიადაგ უნდა ვერიდოთ ულმერთო კომუნისტებს.

ჩერჩილი კმაყოფილებით უგდებდა ყურს, თანაც სიგარას აბოლებდა:

— კარგად აზროვნებ... მე უკვე დავბერდი, ანტონი. შენ კი ყველაფერი წინა გაქვს. ამიტომაც, აი რას გეტყვი. სტალინის გარდაცვალება რომ შევიტყვე, გუნება-განწყობილება გამიფუჭდა, მაგრამ გამიხარდა კიდეც, სტალინის შემდეგ მის ადგილზე რომ მოსულიყო სხვა ვინმე, ვთქვათ, სტალინის მსგავსი, მაშინ, მართალი გითხრა, ძალიან გაგვიჭირდებოდა, ანტონი.. ხრუშჩოვის მოსვლა კი შეგვიმსუბუქებს ისტორიული მისიის შესრულებას.

ჩერჩილმა ჩაახველა, მერე ცოტა ხანს იყუჩა. იდენი დუმდა, რათა ხელი არ შეეშალა ჩერჩილისთვის.

— რუსი ადამიანი აზიელი არ არის, — განაგრძო ჩერჩილმა თავისი აზრი, — ზუსტად რომ ვთქვათ, — ეს არ არის არც ჩინელი, არც იაპონელი, არც ქართველი. პოლიტიკურ პოლემიკაში ქება-დიდებით სტალინის მოხიბვლას ვერ შეძლებდი. პირიქით, იგი შეუჩერებლად ჩვენზე გავლენას ახდენდა. ერთხელ ვიღაცამ მისი გაბრაზება, მწყობრიდან გამოყვანა სცადა: „ბატონო სტალინ, ამბობენ, რუსეთში ქურდობა გავრცელდაო, ეს სოციალიზმია?“ რაზედაც გაბრაზების ნაცვლად მხოლოდ ჩაიცინა: „მოპარული ნივთებიდან ინგლისში არაფერი ხვდება, ჩვენთან, რუსეთში რჩება. მაშასადამე, ეს ქურდობა არ არის, ბატონო ჩერჩილ“.

ანტონი იდენმა გადაიხარხარა, მუხლებზე ხელები შემოირტყა.

— აი ასეთი ქართველი გახლდათ, ჯო, — თქვა ჩერჩილმა. — რუს კაცს კი ტყვიით ვერ შეაშინებ, პირში ქებით უნდა მოხიბლო. საკმარისია ხრუშჩოვს მხრებზე ხელი მოუთათუნო და შეაქო...

— მ-დაა... — ახოვანი, ორი არშინი სიგრძის, გოლიათი ანტონი იდენი აბსოლუტურად ეთანხმებოდა უფროსი კოლეგის ამ სიტყვებს, რასაც ღიმილითა და თავის დახრით ადასტურებდა.

— როგორც ჩვენი მოსკოველი ელჩი იტყობინება, ხრუშჩოვი ემზადება, რომ კომუნისტთა მორიგ ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკოს სტალინი, ამის მჯერა. იმიტომ, რომ რუს ადამიანს, ხელისუფლებამდე რომ მიაღწევს, უყვარს წარსულის ძაგება და საკუთარი თავის ქებით ცის კაბადონზე ასვლა. სხვებზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ რა ჩაიდინა თვით ლენინმა, მსოფლიო კომუნისტურ გენიას რომ უწოდებენ? დაამცირა და ფიზიკურად მოსპო ნიკოლოზ მეორე თავის ოჯახიანად! რა არის ეს?! მხეცობა!..

ჩერჩილს ხველა აუტყდა და მთელი ტანით აცახცახდა. რომ არა ხველება, ეს ოთხმოცდაათწელს მიტანებული მოხუცი, სავსეა ნათელი გონებითა და ძალ-ღონით. ორმოცდაჩვიდმეტი წლის ანტონი გაოცებული და აღტაცებული იყო მისი ასეთი მდგომარეობით.

— ლენინი რევოლუციამდელ რუსეთს „მეფის საპყრობილეს“ უწოდებდა. რა ჩაიდინა თვითონ, ხელისუფლების სათავეში რომ მოექცა? გონებითა და ნიჭით მდიდარი რუსეთი ულმერთო მონების ქვეყნად აქცია. ხოლო, რა გააკეთა სტალინმა? მას არ დაუწყია ლენინის ლანძღვა მისი სიკვდილის შემდეგ. პირიქით, მლიქვნელებს, რომლებმაც წამოაყენეს ლოზუნგი: „სტალინი — ეს ლენინია დღეს!“, უპასუხა: „არა, მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ!“ და ამ აზრისა სიკვდილამდე დარჩა. მთელი თავისი სიცოცხლე ლენინს მიუძღვნა. ქალამნიანი და კავიანი რუსი ხალხი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში დააყენა. და ასეთი ადამიანის... გაქიაქებას აპირებს მომავალ ყრილობაზე ვინმე კი არა, არამედ რუსი ადამიანი, თვით ხრუშჩოვი... მოდი, ანტონი... ამ სასმისებით სტალინის სადღეგრძელო დავლიოთ...

იდენმა ერთბაშად გადაკრა, ჩერჩილი მხოლოდ ტუჩებით შეეხო სასმისს, მერე ვეებერთელა სიგარა გააჩაღა.

— ვამაყობ, რომ მტრად მყავდა თვით სტალინი, იდენ. — თქვა ჩერჩილმა. — შენ კი, როდესაც, დღეს თუ არა ხვალ, ჩემ ადგილს დაიკავებ, რით იამაყებ? ხრუშჩოვით ხომ არა? ჰე, შენ იოლი საქმე გელის, ანტონი, იოლი!..

* * *

1955 წელი დგას. უკვე მეორე წელია, რაც ხრუშჩოვი ხელისუფლების სათავეში დგას, მაგრამ ხალხი არანაირად არ აღიარებს მას სტალინის ადგილზე. არც ქართველები, არც ყაზახები, არც ყირგიზები, არც უზბეკები, არც ესტონელები, თვით რუსი ხალხი, მისივე ხალხი...

ამის გამო, თუ კონსტანტინე სიმონოვის მოწინავე სტატიის „მწერლების წმიდათაწმიდა მოვალეობის“ გამო, ან კიდევ იმ მიზეზით, რომ სადღაც სრულებით ახალი კოსტიუმი დასვარა, დღეს იგი მეტად კუშტია, გაბრაზებულია, ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ. შესახვედრად გამოსულ ვაჟიშვილს ხელში ჩასჩარა შავი საქაღალდე, რომელსაც არასდროს იშორებდა, დიდი თავიდან დიდი შლაპა მოიშვლიპა და ხმამაღლა გასძახა:

— ნინა პეტროვნა, შინა ხარ?..

ცოლი სამზარეულოდან გამოვიდა.

— შეხედე!.. — მან დემონსტრაციულად უჩვენა მას გაჭუჭყიანებული კოსტიუმი. — არ ვიცი, სად დავისვარე... თანაც შავი ზეთია...

ნინა პეტროვნამ დასვრილი კოსტიუმი სხვა კოსტიუმით შეუცვალა და უთხრა:

— კი მაგრამ, როგორ მოახერხე? თითქოს კრემლში კი არ იჯდე, არამედ სადღაც ქარხანაში ზეინკლობდე?..

ხრუშჩოვმა თავისი შრომითი გზა ზეინკლობიდან დაიწყო და ამიტომ მეუღლე ჯიბრით ნიადაგ ასე ეუბნებოდა.

(გაგრძელება იქნება)

კოჩკენ საქტანოვი

# უცნობი სტალინი

მესამე ნაწილი



აქ არავის აქვს იმის უფლება გაამართლოს ან დაიცვას ბერია. მას თავისი მიეზღო და სრულიად სამართლიანად. სისხლი არავის არაფერს პატიებს. სამი ჯალათი — იაგოდა, ეჟოვი და ბერია — სამივენი დახვრიტეს ძალების აყვავების პერიოდში ისე, რომ ორმოცდაათი წლისათვის არც ერთს არ მიუღწევია.

აი სტალინის თანამოსაგრეებმა, რომლებიც მხარდამხარ ებრძოდნენ ისეთ მერყევ, უპრინციპო დემაგოგებს, როგორიც იყვნენ ტროცკი და ბუხარინი და რომლებიც სიკვდილის წინაც კი დღეგრძელობას უსურვებდნენ სტალინსა და მისი საქმის ერთგულ ადამიანებს, დიდხანს იცოცხლეს: ვოროშილოვმა — ოთხმოცდაათ წლამდე, მოლოტოვმა — ოთხმოცდათექვსმეტ წლამდე, კაგანოვიჩმა — ოთხმოცდაჩვიდმეტ წლამდე. ისინი კი, ვინც სტალინის საქმის ლაფში ამოსვრას ცდილობდა — ხრუშჩოვი, გორბაჩოვი და ელცინი — სიცოცხლეშივე გვამებად იქცნენ.

* * *

როგორ მოხვდა ხრუშჩოვის ხელში ხმელეთის ექვს ნაწილზე გაშლილი დიდი იმპერია.

სადავო როდია, შესაძლოა ხრუშჩოვი იყო კარგი ადამიანი, კარგი ქმარი, დიდებული ამხანაგი, ღირსეული მამა. მაგრამ ასეთი ადამიანები რუსეთში საძებარი არ არის — მათ ყველგან შეხვდებით, თითოეულ ქუჩაში, ყოველ სახლში. მაგრამ სულ რაღაც რაიონული, ვთქვათ, უკიდურეს შემთხვევაში, საოლქო მასშტაბის ადამიანი, როგორ და რანაირად, ბედის ახირებით, უცბად როგორ აღ-

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 257-262,
265-268, 274-279, 282-284, 288-290.

1. ჯო — ასე უწოდებდა უ. ჩერჩილი სტალინს.

◎ უცხოეთის პრესიდან

# მსოფლიოს შემაძრწუნებელი სამი კალმის მოსმა

ახლახან 14 წელი შესრულდა, რაც მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო — სსრ კავშირი აღარ არის.

ზამთრის დღე იყო, 1991 წლის 8 დეკემბერი. პატარა სოფელში ვისკულიში, ბელოვეჟის ტყეებში, სამი რესპუბლიკის მეთაურები შეიკრიბნენ — ელცინი (რუსეთი), კრავჩუკი (უკრაინა) და შუშკევიჩი (ბელორუსია); ჰოდა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირიდან გამოსვლის თაობაზე. მაგათ რომ ჰკითხო, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი გორბაჩოვი მაშინ უფრო იმან გაანაწყენა, რომ „შეთქმულებმა“ პირველს ქვეყნის ლიდერს კი აუწყეს კავშირის დასამარება, არამედ აშშ-ის პრეზიდენტს. არადა, თურმე ორივესთვის ერთდროულად დაურეკავთ, ოღონდ თეთრ სახლთან დაკავშირება უფრო იოლი გამოდგა, ვიდრე კრემლთან. „კომსომოლსკაია პრავდა“ შეხვდა „სსრ კავშირის მესაფლავეებს“ და ჰკითხა:

*1. ახლა თუ მოაწერდით შეთანხმებას ხელს?*

*2. ასეთი წარმოგედგინათ მომავალი?*

*3. ახალი კავშირი თუა შესაძლებელი?*

***ლეონიდ კრავჩუკი:** რუბლიანი ევროკავშირი უნდა აგვეშენებინა.*

**1. — საერთო ბაზრის შენარჩუნებას ჩავწერდი იმ შეთანხმებაში და გარდამავალი ვალუტისას, მაგალითად, რუბლისას. ელცინსა და შუშკევიჩს რაღაც ევროკავშირის მაგვარზე დავიყოლიებდი.**

**2. არა ასეთი. ჩვენი ურთიერთობები ხომ აუცილებლობის მიხედვით კი არა, ბელადების ახირების მიხედვით ყალიბდება. განა შეიძლება ერთმანეთთან ამდენი ხანი მცხოვრები ქვეყნები ასე დამოკიდებული იყვნენ ლიდერთა უტვინო გადაწყვეტილებებზე? რატომ იცქირება იუშჩენკო დასავლეთისკენ, ლუკაშენკო კი რუსეთისკენ? ყველა მხარესაა ყურება საჭირო...**

**3. — მკვდრის გაცოცხლება არ ეგების. ლუკაშენკო გაიძახის, რომ კავშირის დამაქცევლებს ჩავსვამდიო, იუშჩენკო კიდევ დემოკრატიას ჰპირდება ბელორუსებს. ვინ ეკითხება? თუ შნო აქვს, ჯერ უკრაინელთ მისცეს რამე. არც ერთის არ მესმის.**

***სტანისლავ შუშკევიჩი:** სულ ერთია, კარგი ცხოვრების იმედი მაინც არ იყო.*

**1. — შეთანხმება სწორი გახლდათ, ოღონდ ხეირზე დახარბებულებიც არ გვაკლდნენ: რუსეთში — ოლიგარქები, ბელორუსიაში — სახელისუფლებო სტრუქტურები, უკრაინაში — კორუფციონერები.**

**2. — ხელს რომ ვაწერდი, თავი დიდად არ მიმტვრევია. ერთი რამ მესმოდა: რუსეთი ბოლოსდაბოლოს სცნობს ბელორუსიის დამოუკიდებლობას. კარგი ცხოვრების იმედი კი მაინც არ იყო ისეთ უაზრო გაერთიანებაში, როგორიც გახლდათ სსრ კავშირი.**

**3. — ახალი კავშირი არაა საჭირო. ეს იქნება ეროვნული ღირსების დამცირება და იძულებითი გარუსება. არ ვნანობ, შეთანხმებას ხელი რომ მოვაწერე. აი, ელცინი და კრავჩუკი კი ნანობენ. კრავჩუკმა თქვა კიდევაც — ახლა ხელს მოსაჭრელად უფრო გავიმეტებდი, ვიდრე მოსაწერადო.**

ბორის ელცინთან შეხვედრა არ გამოგვივიდა. კარჩაკეტილია ბარვისის სახელმწიფო აგარაკზე და ინტერვიუს არ იძლევა. იმის მაგიერ გვესაუბრა ***გენადი ბურბულისი**, რუსეთის ყოფილი სახელმწიფო მდივანი: ჩვენ სამოქალაქო ომი ავიცილეთ.*

**1. — კატასტროფა ავირიდეთ. 8 დეკემბრისთვის დე ფაქტო სსრ კავშირი აღარც არსებობდა. იმის დაშლას დიდი საშინელების გამოწვევა ძალუძდა. გაიხსენეთ, მაშინ უკვე დაიწყო დარბევები კავშირის კიდეებზე — სუმგაითი, ვილნიუსი, თბილისი... საქმე სამოქალაქო ომის გაჩაღებამდე არ უნდა მისულიყო.**

**2. — რასაკვირველია, ყველაფერი ასე არ წარმომედგინა. შეთანხმებაში ხომ ერთობლივი განვითარების ახალ ფორმაზე იყო ლაპარაკი. ვფიქრობ, სწორედ ჩვენ, რუსეთს არ გვეყო სიბრძნე, რომ დსთ-ს ყოველ წევრთან 10-15 წელზე გათვლილი მკაფიო სტრატეგიული ურთიერთობები აგვეწყო.**

**3. — სსრ კავშირის აღდგენა შეუძლებელია, თუმცა დსთ-ზე რუსეთის გავლენა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თვით რუსეთის განვითარების სტრატეგიაზე.**

*ეს ითქვა რუსეთის პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის** პირით:*

**— ვინც საბჭოთა კავშირს არ მისტირის, უგულოა. ვინც იმის დაუყოვნებლივი აღდგენის მსურველია — უთავო.**

***მიხეილ ლეონტიევი**, ტელეპროგრამა „Однако“-ს წამყვანი: კავშირის აღდგენა გარდაუვალია.*

— დიდი ქვეყნის მკვლელები უნდა შევიბრალოთ, კი არ დავსაჯოთ ან დავაჯილდოოთ. არ ესმოდათ, რასა იქმოდნენ! თუმცა სხვადასხვა წილით.

შუშკევიჩი, უბრალოდ, გაფუყული ფიგურაა, შემთხვევით ამოტივტივდა და ჩაიძირა. კრავჩუკი ამ სამეულიდან ყველაზე ცინიკურია. იმას საქესთან დარჩენის ერთი შანსი ჰქონდა — ნაციონალისტად თავის მოტანა. წარმოაჩინა კიდევაც. ელცინს კი მხოლოდ უფროსობის შეცვლა სურდა და ფირნიში შეცვალა. სამივენი პირად პრობლემებს წყვეტდნენ. ელცინი ხომ ნამდვილად არ წყვეტდა სახელმწიფო ამოცანებს. მან რუსეთი ფაქტობრივად გამოიყვანა რუსეთისავე შემადგენლობიდან.

რაც მოხდა, სსრ კავშირიდან ცუდი გამოსვლა გახლდათ, თუმცა არა ყველაზე უარესი. სამმა გამოუტანა კიდევაც განაჩენი ქვეყანას — ეს უკეთესია, ვიდრე იუგოსლავიის სისხლიანი დაქუცმაცება.

სსრ კავშირი, რა თქმა უნდა, გაყიდეს.



ყველამ გავყიდეთ — პრეზიდენტებმაც, თქვენც, მეც. საპროტესტოდ ერთი კაციც არ გამოსულა ქუჩაში, სულ არავინ. რუსეთის აღდგენა ძველ საზღვრებში კი უცილობელია. ბოლშევიკებმაც კი დააბრუნეს სსრ კავშირი რუსეთის სივრცეში. იმიტომ, რომ ეს სივრცე ბუნებრივია! ხოლო საზღვრები დონეცკსა და ვორონეჟს, ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის — ბითურობაა.

როდისო? როცა კი მოვისურვებთ. ოღონდ ერთობ მორცხვები ვართ. ყველას ეშინია, თუ როგორ შეხედავს ამას ამერიკა. არ უნდა გვეშინოდეს. თითოეული, ვინც გულით და სინდისით ავადმყოფი არ არის, მხარს დაგვიჭერს.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

◎ გლობუსი

# ერაყი გზაჯვარედინზე

**ერაყი რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ამაში გასაკვირი არაფერია. აშშ-ს ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით, 2003 წელს დაწყებული ბლიცკრიგი, დღესაც მიმდინარეობს და არავინ უწყის, როდის დაესმება წერტილი, მასობრივი განადგურების იარაღის მაძებართა მიერ წამოწყებულ ომს. შექმნილი ვითარება უკვე სერიოზულად აღელვებს ამერიკის მოსახლეობას და არა მარტო მათ. კვირა ისე არ ჩაივლის, რომ აშშ-ს და ევროპის ქალაქებში არ გაიმართოს ბუშის და მისი მოკავშირეების საწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი გამოსვლები. გააქტიურდა და უფრო კატეგორიული გახდა აშშ-ს კონგრესი. გახშირდა, როგორც დემოკრატთა, ისე რესპუბლიკელთა პაციფისტური განცხადებები. კონგრესმენები ამერიკის ადმინისტრაციისგან დაბეჯითებით მოითხოვენ ერაყიდან ჯარების გამოყვანის გრაფიკის გამოცხადებას. საგრძნობლად იმატა პრეზიდენტ ბუშის კრიტიკამ და ასევე საგრძნობლად იკლო მისმა პოპულარობამ.**

ვითარების გაუმჯობესების მიზნით, თეთრმა სახლმა შეიმუშავა ამერიკის მოსახლეობისთვის ერაყში გამარჯვების მიღწევის სტრატეგიის გაცნობის პროგრამა. პროგრამიდან გამომდინარე ბუში პირადად იღებს მონაწილეობას მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრა-დებატებში. პრეზიდენტმა აშშ-ს სხვადასხვა ქალაქში 4 შეხვედრა გამართა. შეხვედრების დროს ბუშს ერთობ მწვავე კითხვები დაუსვეს, როგორც ჩანს, პრეზიდენტის პასუხმა ნაკლებად დააკმაყოფილა მსმენელები.



ბუშის განცხადებით ერაყიდან ჯარების გაყვანა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება ერაყის ეროვნული შეიარაღებული ძალები. მისი აზრით, დღეს ერაყიდან გამოსვლა უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ჩვენი მიზანი იყო ტერორიზმთან ბრძოლა და გამარჯვების მიღწევა. მე არ მინდა რომ ბიჭები (იგულისხმება ჯარისკაცები) წარუმატებლად დაბრუნდნენ“, თქვა პრეზიდენტმა.

ერაყში 160.000 ამერიკელი ჯარისკაცი იბრძვის. ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებით, ერაყის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს რაოდენობა 30.000-ით შემცირდება. პენტაგონის მიხედვით 2007 წლისთვის ერაყში 80-100 ათასი ჯარისკაცი დარჩება, 2008 წელს კი, უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი დატოვებს ერაყს. ეს გეგმა პენტაგონისეულია და არა პოლიტიკური. დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ ერაყის ომი, მისი დაწყება და დასრულება პოლიტიკურ და არა სამხედრო გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

ფილადელფიაში გამართული შეხვედრის დროს ბუშმა განაცხადა, რომ აშშ-მა ერაყის ომში 2100-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა. კითხვაზე, თუ რამდენია ერაყის მხრიდან დაღუპული, პრეზიდენტმა უპასუხა, 30.000-ო, თუცმა ეს ციფრი საქმეში ჩახედულებს ნაკლებად დამაჯერებლად მოეჩვენათ. მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგი გაცილებით დიდია. ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ბუშის მიერ დასახელებული 30.000.

აშშ-ს ოფიციალურ წრეებში გამოითქვა მოსაზრებაც, რომ თუ ერაყის ახალი მთავრობა მოითხოვს ჯარების გაყვანას, აშშ უმალ შეასრულებს ამ მოთხოვნას, თუმცა ისიც ითქვა, რომ როგორი ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს ერაყის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ყველას დასჭირდება სერიოზული სამხედრო დახმარება. ასეა დღეს. პრეზიდენტმა ჯალიალ ტალაბანიმ ტელეკომპანია სი-ენ-ენისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ჩემი ქვეყანა საჭიროებს იმას, რომ აშშ სამხედრო ძალები და მათი მოკავშირეები მანამდე დარჩნენ ერაყში, ვიდრე არ აღადგენთ საკუთარ სამხედრო ძალებსო. ტალაბანის აზრით, ამისთვის მინიმუმ ორი წელი იქნება საჭირო.

ერაყში მიმდინარე რთული პროცესების სწორად გაგება შეუძლებელია დემოგრაფიული სურათის განუხილველად.

ამ ქვეყნის მოსახლეობა 25 მილიონია. აქედან, 80 პროცენტი არაბია, 18 პროცენტი — ქურთი; ქვეყანაში ცხოვრობენ თურქმენები — 3,5 მილიონი, სომხები — 10.000, პალესტინელები — 23.000.

მოსახლეობის 90 პროცენტი ისლამის მიმდევარია. ეს მონოთეისტური რელიგიური მოძღვრება წინასწარმეტყველმა მუჰამედმა შექმნა. მისი საქმის გამგრძელებლად ითვლება ოთხი წმინდა ხალიფა: აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი. ერაყელი შიიტები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ, ამ ოთხი ხალიფიდან სამს არ ცნობენ. მათი აზრით მუჰამედის კანონიერი მემკვიდრე არის იმამი ალი და მისი შთამომავლობა. ალი იყო მუჰამედის ბიძაშვილი და უახლოესი თანამებრძოლი, წინასწარმეტყველის უფროსი ქალიშვილის ქმარი. სუნიტები, რომლებიც ერაყის მოსახლეობის 35-პროცენტია, თვლიან, რომ ალი არაფრით გამოირჩევა დანარჩენი ხალიფებისაგან. სუნიტების 15-პროცენტი ქურთია.

ერაყში, გარდა შიიტებისა და სუნიტებისა, 750.000 ქრისტიანი ცხოვრობს. მათგან 260.000 კათოლიკეა.

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის მოსახლეობის დიდ ნაწილს შიიტები შეადგენდნენ, საშუალო და მაღალ თანამდებობებზე სუნიტები ინიშნებოდნენ. ასე იყო მაშინ, როდესაც ერაყი ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა (მე-17 საუკუნიდან დაწყებული პირველ მსოფლიო ომამდე) და მაშინ, როდესაც ამ ტერიტორიას ბრიტანელები მართავდნენ. ერაყის შიიტებმა სერიოზული ზიანი განიცადეს სადამ ჰუსეინის დიქტატურის დროს. ერაყში ამერიკელთა სამხედრო ექსპანსიის ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი ისიც იყო, რომ შიიტები, რომლებიც ცნობილები არიან დაუმორჩილებლობითა და მოჭარბებული ფანატიზმით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებული სადამ ჰუსეინის რეჟიმსა და პარტია ბაასთან.

მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. 2004 წლის გაზაფხულიდან დაწყებული, შიიტებმა დაიწყეს ოკუპაციური ჯარების საწინააღმდეგო გამოსვლები. სუნიტებსა და შიიტებს ერთი საერთო მიზანი გაუჩნდათ — უცხოელებისაგან ქვეყნის განთავისუფლება. ამ კონსოლიდაციის მიუხედავად, სუნიტებმა 2005 წლის იანვრის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ჯამში ერაყის გარდამავალ მთავრობაში შიიტებმა ნახევარზე მეტი ადგილები დაიკავეს. 275-ადგილიან პარლამენტში სუნიტებს მხოლოდ 17 ადგილი შეხვდათ, 75 ადგილი — „ქურთების კავშირს“.

ცხადია ლაპარაკია იმ ერთწლიანი გარდამავალი პერიოდის არჩევნებზე, რომელიც 2005 წლის დასაწყისში გაიმართა და რომელსაც აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა წარმატებული ექსპერიმენტი უწოდა. მაშინ მშობლიურ ტეხასის შტატში გამოსვლის დროს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთის ცენტრში არსებული თავისუფალი ერაყი ტირანიისა და ტერორიზმის გამანადგურებელი



მაგალითი და გლობალური რევოლუციების მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. ცხადია, მსოფლიო დემოკრატიული რესპუბლიკების ჩამონათვალში ჩვენი ქვეყანაც შედის.

ერაყის ექსპერიმენტის უშუალო მონაწილეები არცთუ დიდი ოპტიმიზმით არიან განმსჭვალული. პრობლემა უამრავია, რაც ნათლად წარმოაჩინა გარდამავალმა პერიოდმა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ერაყის პოლიტიკური აღორძინების პროცესი, მიუხედავად სიძნელეებისა, დაიწყო. ერაყის ახალი ხელისუფლება იძულებული იქნება სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს. და სწორედ აქ იბადება კითხვა: რამდენად არის ეს შესაძლებელი ამერიკელთა გარეშე? ამერიკელებს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ოკუპანტებად მიიჩნევს. რაც შეეხება ამერიკელებს, მათ თავიანთი მიზნები აქვთ. ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ უკვე მოამზადა 150.000 ერაყელი სამხედრო, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას. მაგრამ იბადება კითხვა — როდის? აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ამერიკელებს არ აქვთ ერაყიდან გამოსვლის სტრატეგია, მათ აქვთ გამარჯვების სტრატეგია. გენერალ მაიერსის განცხადებით, ჯარების გამოყვანის შემდეგ ერაყში დარჩება სპეცდანიშნულების ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე დაზვერვის შენაერთები, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიონ ერაყის ახალ ხელისუფლებას, მის საწინააღმდეგო ამბოხების ჩახშობაში.

ერაყის ახალი პარლამენტი და ახალი ხელისუფლება, რომელიც ამჟამად ყალიბდება, რთული გამოცდის წინაშე დგას. ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის, მძიმე სოციალური ვითარების და, რაც მთავარია, დემოგრაფიულ-რელიგიური განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, უმწვავესი საკითხების დაძლევა არცთუ იოლი საქმე იქნება. მხოლოდ დრო განსჯის ამერიკული დემოკრატიული ექსპერიმენტის ვარგისიანობას, ახლო აღმოსავლეთის ამ მუდამ მშფოთვარე რეგიონში.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ ვითხოვ სიტყვას!

# დროა, პრეზიდენტმა და ოპოზიციამ ერთმანეთს ხელი გაუწოდონ

**1992 წლის 5 ოქტომბერს ქ. გაგრიდან ქ. თბილისში ჩამოგვიყვანეს, ჩემს თანაქალაქელებთან ერთად, სასტუმრო „ივერიაში“ დაგვაბინავეს, დევნილები თავს ვიყრიდით მთავარი ფოსტის შენობასთან. იქვე ყოფილი „იმელის“ შენობაა, სადაც მიმდინარეობდა პარლამენტის სხდომები. ამ შენობიდან გამოსული „იმედიანი“ სიტყვები აფხაზეთის დაბრუნების იმედს გვაძლევდა...**

ვერ ვიხსენებ 1994 წლის რომელი თვე იყო, ბატონი მიხეილ სააკაშვილი რესპუბლიკის მოედნის მხარიდან შემოვიდა ფოსტის წინამხარეს, ხელში პატარა, რამდენიმე თვის ბიჭი ეჭირა, მეუღლე, ქალბატონი სანდრა, გვერდით მოჰყვებოდა, მოგვესალმა და ხელი გამოგვიწოდა, პირველად მე ჩამოვართვი ხელი ღიმილიან და ენერგიულ ჭაბუკს.

სულ მალე სახელოვანი პოლიტიკოსი გახდა. მახსოვს მისი იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა, რა ენერგიით მუშაობდა ამ თანამდებობაზე, რა შემართებით ებრძოდა კორუფციას სახელმწიფოს მოხელეებში თუ მის გარეთ. რა დამავიწყებს იმ სურათს, მთავრობის სხდომაზე, ედუარდ შევარდნაძის გვერდით მსხდომ მინისტრებს რომ მიმართა „თქვენ ყველა კორუმპირებულები ხართო“... ეს მის დიდ გამბედაობაზე მეტყველებდა, ასევე დაუვიწყარია მისი მუშაობა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, დიდი ცოდნა, ზღვა ენერგია და გამბედაობა იყო მისი მეგზური, კიდევაც წარმატებით დააგვირგვინა „ვარდების რევოლუცია“.

ბატონ პრეზიდენტს მინდა ერთი რამ ვთხოვო, როგორც ამ ქვეყნის შვილმა და მისმა ამომრჩეველმა: თქვენ ერუდირებული, ცოდნით, მაღალი ნიჭით მდიდარი და ზღვა ენერგიით აღსავსე და გამბედავი პიროვნება ხართ, მინდა, გადადგათ საქართველოსთვის, მისი სიკეთისთვის მკვეთრი ნაბიჯი, რათა ქვეყანაში დამთავრდეს შუღლი, ერთმანეთის მიმართ ქიშპობა-ჩასაფრება, ხალხი გადაიღალა ამდენი კინკლაობით და რევოლუციებით, დროა, თქვენ და თქვენმა ოპოზიციამ ერთმანეთს გაუწოდონ ხელი.

ეს ნაბიჯი, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უნდა გადადგათ, აიძულოთ ოპოზიციური პარტიები, მისი ლიდერები, დაითანხმოთ, რომ მიუსხდნენ მრგვალ მაგიდას.

ბატონო პრეზიდენტო, „ვარდების რევოლუცია“ გიორგობას დაემთხვა, კიდევ უკეთესი იქნება, თუ თქვენი შერიგება-ერთობლივ თანამშრომლობას დაამთხვევთ იესო ქრისტეს დაბადების დღეს — 25 დეკემბერს. ამით თქვენ ძალზე დიდ საქმეს გააკეთებთ საქართველოსთვის.

**ოთარ გოგეჯიშვილი,**
**ინჟინერი.**

◎ გამოხმაურება

# ასე დავკარგეთ უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტები

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 10 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ქალბატონ ნუნუ ვანიძის საინტერესო წერილი, სათაურით „მაინც ვისია ეს ეკლესია?..“**

ჩემი, როგორც ისტორიკოსის ყურადღება მიიქცია წერილის ბოლო ნაწილმა, რომელიც ზოგიერთი ქართველის უნიათობას შეეხება: **„1885 წლამდე არსებული საქართველოს სომხური ეპარქიის სინოდური ჩანაწერები დაცული იყო საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში. 1965 წელს საქართველოს საარქივო სამმართველოს უნიათო ხელმძღვანელობამ იგი სომხეთის სახელმწიფო არქივს გადასცა. ეს მარტო კანონის დარღვევა კი არა, ეროვნული დანაშაულიც იყო. მათი უვიცობის გამო, არ მინდა მათ საქციელში ანგარება დავინახო... ამ წერილზე მუშაობისას არაერთგზის დამჭირდა შემემოწმებინა ბ-ნ კარაპეტიანის, ბ-ნ მურადიანის და სხვათა მიერ დასახელებული საქართველოს სომხური ეპარქიის სინოდალური ჩანაწერები და მათი მეცნიერული სანდოობა, გასაგები მიზეზების გამო ვერ შევძელი“.**




ახლა იმ დიდი დანაშაულის შესახებ, რაც ამ ფაქტზე სამი წლით ადრე ჩაიდინა მაშინდელმა არქივის ხელმძღვანელობამ. ვისაც გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ვერაზე მდებარე არქივში უმუშავია, აუცილებლად დამიდასტურებს, რომ ეს დაწესებულება მეცნიერ-მკვლევართა დიდ თავშესაყარს წარმოადგენდა. ვის არ შეხვდებოდით აქ: მოსკოველს, ლენინგრადელს, ბაქოელს, ერევნელს, მახაჩყალელს, ნალჩიკელს, მოზდოკელს, გროზნოელს და კიდევ ბევრი სხვა კუთხის წარმომადგენელს. რატომ ჩამოდიოდნენ? იმიტომ, რომ თბილისი უწინ იყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. აქ ინახებოდა აუარებელი საარქივო დოკუმენტი, რომლებიც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას შეეხებოდა. სწორედ ამ ისტორიული დოკუმენტების შესასწავლად ჩამოდიოდნენ მეცნიერები თბილისში 1962 წლამდე. იმ წლის ზაფხულში კი მავანისა და მავანის წყალობით, ისტორიისთვის მეტად ღირებული ეს დოკუმენტები, ვითომ აქ არაფერიო, მოსკოვის სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივს (МГВИА) გადასცეს, სადაც დღეს ქართველი მკვლევარი კი არა, ბუზიც ვერ შეფრინდება.

მაშინ ამ დოკუმენტების გასხვისების წინააღმდეგ აშკარად ხმა ამოიღეს ქართველმა ისტორიკოსებმა სარგის კაკაბაძემ და შოთა ხანთაძემ. სამწუხაროდ, სათანადო ორგანოებმა ორივე ისე დააშინეს, რომ მას შემდეგ ამ თემაზე არც ერთ ინსტანციაში ერთი სიტყვაც აღარ უთქვამთ. სამაგიეროდ, არქივის ფოტოგრაფმა შხიანმა, რა თქმა უნდა, წმინდა კომერციული თვალსაზრისით, ამ უნიკალური დოკუმენტების ფოტოგრაფირება დააპირა. ფაქტობრივად ამით ისინი ჩვენთანაც დარჩებოდა. არქივის ხელმძღვანელობამ ფინანსების ნაკლებობა მოიმიზეზა და ეს კარგი ინიციატივაც ჩაიშალა. ფაქტობრივად, ასე დავკარგეთ უძვირფასესი ისტორიული მასალები.

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ ინფორმაცია



## მინისტრმა ახალი ვერტმფრენი გამოსცადა

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ამერიკული საპატრულო ვერტმფრენი ჰყავს. „ENSTROM“ 280 SX-ის მოდელის ვერტმფრენის პრეზენტაცია გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ეზოში მოეწყო.**

**როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ვერტმფრენს სულ მალე დაუმონტაჟდება მძლავრი მანათობელი და იგი სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებისას იქნება გამოყენებული.**

**მინისტრის ინფორმაციით, ვერტმფრენი დაცვის პოლიციის რეზერვებიდან შეიძინეს, „იმ სამსახურის რეზერვებიდან, რომელიც დღევანდელი მონაცემებით უკვე შვიდჯერ გაძლიერდა და რომლის პირადი შემადგენლობა ოთხჯერ გაიზარდა“.**

**ამერიკული ფირმა „ENSTROM“-ის მიერ დამზადებული ორადგილიანი ვერტმფრენის ფასი 5002 ათასი ამერიკული დოლარია. იგი ორადგილიანია და მას მფრინავი და ინჟინერი მართავენ.**

**როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ვერტმფრენის შეძენა და ექსპლუატაცია საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, მისივე თქმით, სამინისტრო კიდევ გეგმავს ამგვარი ვერტმფრენების შეძენას.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ საჭირბოროტო თემა

# რაღა თამბაქოს მწეველი და რაღა — ნარკომანი!

***გვესაუბრება თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე გელა კობეშავიძე:***

**— ამბობენ, რაღა თამბაქოს მწეველი და რაღა ნარკომანიო, თქვენ რას იტყვით?**

— ვიტყვი, რომ ეს აზრი სიმართლეს მოკლებული არ არის, ვინაიდან თამბაქოს ბოლო დიდი რაოდენობით შეიცავს მომშხამავ ნივთიერებებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნიკოტინი, რაც აქტიურად ზემოქმედებს მწეველის ფსიქიკაზე, მის ფიზიკურ მდგომარეობაზე.

**— მოსახლეობის რამდენი პროცენტია საქართველოში თამბაქოს მწეველი?**

— ჩვენ გვაქვს ასეთი მონაცემები: თამბაქოს მოიხმარს მოსახლეობის 12 წლიდან 70 წლამდე ასაკის 37,7 პროცენტი.

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მწეველთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა?**

— პრობლემის მიმართ საზოგადოების არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ, სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ, თამბაქოს კომპანიების მძლავრმა მარკეტინგულმა საქმიანობამ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალმა დონემ...

**— დღეს ყველგან ეწევიან, პარლამენტში, კანცელარიაში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში... უნდა აიკრძალოს თუ არა განურჩევლად ყველგან თამბაქოს მოწევა?**

— „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თქვენს მიერ ჩამოთვლილ, აგრეთვე, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ ადგილებში თამბაქოს მოხმარება აკრძალულია, თუმცა ეს



კანონი პრაქტიკულად საერთოდ არ სრულდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს გულგრილ დამოკიდებულებაზე ამ პრობლემის მიმართ.

**— თქვენ რა ღონისძიებებს ახორციელებთ თამბაქოს წევის საწინააღმდეგოდ?**

— სამწუხარო ფაქტია, რომ თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოში თანხები არ გამოიყოფა, არ მოქმედებს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფოს მიერ თამბაქოს მოხმარების პრობლემის უღიარებლობის გამო, დაფინანსებისგან თავს იკავებენ უცხოელი დონორებიც... ასეთ ფონზე, ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ლოკალური ხასიათისაა, რაც, ბუნებრივია, სასურველ შედეგამდე ვერ მოგვიყვანს.

**— არსებობს თუ არა რაიმე კავშირი თამბაქოს მწეველთა რაოდენობის ზრდასა და შობადობის შემცირებას შორის?**

— თუ ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ შობადობას აშკარად სიკვდილიანობა სჭარბობს, რაც ნიშნავს, რომ ერი განვითარების რეგრესულ გზას ადგას. ექსპერტთა მონაცემებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შობადობის მაჩვენებელმა დაახლოებით ორჯერ იკლო, პარალელურად გაიზარდა ახალშობილთა თანდაყოლილი სიმახინჯეების და პათოლოგიების მაჩვენელბლები. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს სავალალო პროცესები ორსულ ქალებს შორის მწეველთა რაოდენობის კატასტროფულ მატებასთანაც არის დაკავშირებული.

**შალვა მუმლაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**

◎ მხარე

# სინათლე ჩვენს ფანჯრებში

**დედოფლისწყაროს რაიონის ენერგეტიკის სისტემის ახალი ხელმძღვანელის ნიკო ფხოველიშვილის, ტექნიკური მენეჯერის პაატა მენთესაშვილის, სხვათა და სხვათა თავდაუზოგავი გარჯის შედეგია, რომ ელექტროენერგია შეუფერხებლად მიეწოდება რაიონის როგორც სასიცოცხლო ობიექტებს, ასევე საწარმოებს — რუსთავის კარიერს, „გაერთიანება-97“-ს, „არწივის ხეობას“, რკინიგზის სადგურს, ასევე მოსახლეობას. ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის თენგიზ გონაშვილის თაოსნობით განათდა დედოფლისწყაროს ცენტრალური გზები.**

აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე სამსახურის მიერ გამოვლენილია ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები, რაზეც შედგენილია საჯარიმო აქტები და თანხები ამოღებულია რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ.

რაიონისა და ქალაქის მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავენ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მისამართით:

**მარიკა პოპიაშვილი — პედაგოგი:** XXI საუკუნეში რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, წყვდიადში გვიწევდა ცხოვრება. ახლა არნახულად გაუმჯობესდა ელექტროდენის მოწოდება, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ახალ ხელმძღვანელს ნიკო ფხოველიშვილს, თავის ტექნიკურ პერსონალთან ერთად.

**მანო შოშიაშვილი — 80 წლის პენსიონერი:** სინათლე სიბერეს მავიწყებს, ახალგაზრდულ ენერგიას მმატებს და ცხოვრებას მიხალისებს.

**ნოდარ ტოკლიკიშვილი — სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „ჩალიანხევის“ დირექტორი:** უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, დიდ სტიმულს აძლევს ჩვენი კოოპერატივის თითოეულ წევრს მუშაობაში.

**ილია ნანობაშვილი — დიდი სამამულო ომის მონაწილე, პენსიონერი:** ომიანობის დროსაც კი სინათლე გვქონდა, ბედნიერი ვარ, რომ კვლავ მოვესწარი ამ სიკეთეს, რისთვისაც დიდად ვემადლიერები ნიკო ფხოველიშვილს და თენგიზ გონაშვილს, რომელთაც ცენტრალური ქუჩების განათებაზეც იზრუნეს.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ კორ.**




## სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული საწარმოო ლაბორატორიული კორპუსისა და მასზე გაპიროვნებული მიწის ფართობის რეალიზების თაობაზე

***ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:***

– გამყიდველი – სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“.

– მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი – ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. 24, ტელ. 77-90-02.

– აუქციონის ჩატარების თარიღია – 2006 წლის 10 იანვარი, დღის 12 საათი (ინფორმაცია გამოქვეყნებულია 2005 წლის 9 დეკემბრის გაზეთ „24 საათში“).

– სარეალიზაციო ობიექტია ქ. თბილისში, დელისის მე-3 შესახვევ №22-ში მდებარე ლაბორატორიული კორპუსი მასზე გაპიროვნებულ მიწის ფართობთან ერთად. საწყისი ფასია 7380000 (შვიდი მილიონ სამას ოთხმოცი ათასი) ლარი. საწყის ფასში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი.

– შენობა არის 6-სართულიანი, შენობის მთლიანი ფართობი შეადგენს 8104 $მ^2$-ს, მასზე გაპიროვნებული მიწის ფართობი – 7644 $მ^2$, კორპუსის მშენებლობა დაწყებულია 1982 წელს. ამასთან ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, წინასწარ ადგილზე გაეცნოს სარეალიზაციო ქონებას.

– აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს 2006 წლის 9 იანვრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში, დღის 17 საათამდე.

– „ბეს“ სიდიდე განისაზღვრება გასაყიდი ქონების საწყისი გასაყიდი ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით. თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ანგარიშზე:

*სს „საქართველოს ბანკის“*
*ცენტრალური ფილიალი.*
*საიდენტ. კოდი 204900919;*
*ა. ანგარიში 007609318*

– „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ღირებულების 5%-ს.

***საუქციონო პირობები:***

– აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობით განსაზღვრულ პირს, თუ იგი მოქმედებს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სახელით;

– აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. 24, მე-4 სართული, ოთახი №2.

– აუქციონის შედეგების ოქმსა და სრულ დოკუმენტაციას საუქციონო კომისია გადასცემს კორპორაციას, რაც მტკიცდება 10 დღის ვადაში.

– აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში „მყიდველმა“ ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეიტანოს ნაღდი ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ დასახელებულ საბოლოო ფასს.

– აუქციონის შედეგების ოქმზე გამარჯვებული მონაწილის მიერ ხელმოწერის უარის შემთხვევაში მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება;

– იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონის „მონაწილეები“ ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, მაშინ მონაწილეებს შეტანილი „ბე“ არ უბრუნდებათ;

– აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებაში;

– აუქციონში დამარცხებულ „მონაწილეს“ აუქციონის შედეგის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში „მონაწილის“ მოთხოვნით „ბე“ უბრუნდება „ბეს“ შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

***საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:***

– განაცხადი, დამტკიცებული ფორმის მიხედვით (აუქციონში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე);

– „ბეს“ შეტანის ქვითარი;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუ ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;

– აუქციონის ფორმით გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ „მყიდველს“ (აუქციონში მონაწილეს), რომელიც ვაჭრობის პროცესში „გამყიდველს“ ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

***სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“***



## განცხადება

**„სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი“-ს** დირექტორთა საბჭოს მიერ 2005 წლის 20 ოქტომბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი“-ს ფილიალის ლიკვიდაციის შესახებ.

ფილიალის ლიკვიდაციას ახორციელებენ ფილიალის ლიკვიდატორები: დავით არჩვაძე, თამარ ტყეშელაშვილი და შორენა მჟავანაძე.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ რაიმე მოთხოვნა „სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი“-ს ფილიალის მიმართ, შეუძლიათ მათი პრეტენზია წარმოადგინონ ლიკვიდატორების იურიდიულ მისამართზე: თავისუფლების მოედანი № 4, თბილისი, საქართველო (ტელ. 92-38-80, 92-38-82).

კრედიტორმა თავის განცხადებაში უნდა მიუთითოს მისი მოთხოვნის ოდენობა, მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, აგრეთვე განცხადებას უნდა დაურთოს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც რეალურად ადასტურებს მოთხოვნის არსებობას.

**„სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი“-ს ფილიალის ლიკვიდატორები:**
**დავით არჩვაძე, თამარ ტყეშელაშვილი, შორენა მჟავანაძე**



## შპს „საქართველოს რკინიგზის“ ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის 4 ვაკანსიაზე ვადიანი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი

**ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. განათლება
- უმაღლესი;
- მიწათმოწყობა, არქიტექტურა, კომპიუტერული პროგრამები **(PenMap, Map500, ArcView, Excel და Word)** ან უძრავი ქონების სპეციალისტი;
- ქვეყნის მასშტაბით კადასტრისა და საჯარო რეესტრის პროგრამის **KFW-ს** პროექტის კურსდამთავრებული (სათანადო სერთიფიკატი) ან სათანადო გამოცდილებით;
- **Pen Map/GIS და GPS-DPT** სპეციალისტი;

2. მუშაობის გამოცდილება:
- არქიტექტურა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით მიწის (უძრავი) ქონების რეგისტრაციის პროექტების **KFW-ს, USAID-ის** ან სხვას კონტრაქტორი, სამუშაოზე მუშაობის სტაჟი მინიმუმ 1 წელი;
- ველზე მუშაობის გამოცდილება;
- ხელსაწყოებზე (**GPS-DPT, Potosmart R717 digital camera, Plotters DJ 500 42“, Notebooks)** მუშაობის გამოცდილება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 22 დეკემბერი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

1. CV;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი; (დიპლომი, სერთიფიკატი);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. შრომის წიგნაკის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი.

**მისამართი:**
**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**თამარ მეფის გამზირი № 15**
**ქ. თბილისი**
**ტელ: 56-53-19(18), 899 700 727**


## პარასკევი, 16 დეკემბერი.

**07.55** "ადრე" **10.00** სერიალი "**ანასტასია**" **11.00** დოკ. ფ."შედევრის ბედი" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ."მხიარული ქალაქის პატარა კლოუნები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "**ძალიან მდიდარი დორის დიუკის ცხოვრება**" **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.00** სერიალი "**ნიურნბერგი**" **17.00** დოკ. ფილმი "ფატალური ყვავილები" **18.00** "მთავარი" **18.30** თოქ-შოუ – ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია **19.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "**ანასტასია**" **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა – ბრაიან ზეცერი **23.00** მხ. ფ. "**ვან გოგი**" (12) **00.30** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი "**თოლია**"

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანიობობა" **10.00** სერ."**მოპარული გულები**" **11.00** სერ."**ქარვის ამულეტი**" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.20** სერიალი "**ბრძნობათა ტყვეობაში**" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანიობობა" **16.00** სერ."**მოპარული გულები**" **16.40** სერ. "**მეამბოხე სული**" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "**დედინაცვალი**" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფ. "**იმპერატორი და მკვლელი**" (18) (გონ ლი) **03.20** პატრული

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.15** სერ."**საბრალო ნასტია**" **12.25, 16.15, 17.10, 03.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "**ჩვეულებრივი სასწაული**" მე-**2**ს. **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "**მოჯადოება**" **16.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **17.30** ვაკაჭინიუსი **18.05** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "**ვენეციელი ვაჭარი**" (U) (ალ პაჩინო) **02.25** სერიალი "**კამენსკაია**"

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმ. ფილმი "აბა დამაცადე" **09.30** სერიალი "**ასა**" **10.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.50** სერიალი "**ასა**" **10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55** მზერა **11.05** სერიალი "**ქვიშის თოკი**" **12.05** მხ. ფილმი "**ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისთვის**" **13.50** სერიალი "**ასა**" **14.05** რუს. ფილმი "**ერთი მუჭა დოლარი**" **16.30** შემ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.50** სერიალი "**ასა**" **16.55** მზერა **17.05** სერ. "**გვერდი-გვერდ**" **17.35** ანიმ. ფ. "აბა დამაცადე" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.00** "რუსთა ველი" – ვ. პოზნერი **18.25** ტელემეტრი **18.55** სერიალი "**ასა**" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** "მზერა", ბაბაჯანა **20.50** მხ. ფილმი "**მშობლიურო ჩემო მიწავ**" მე-**3**ს. **22.30** სერიალი "**ასა**" **23.00** გადაღემა "ტაბუ" **00.00** მხ. ფილმი "**ევროტური**" (18) (ს. მეხლოვიჩი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20, 23.00, 01.30** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**მამიკოს პატარა ანგელოზი**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "**ბლანში**" (ჟ. დეპარდიე) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "**სტრიპტიზი**" **10.45** მხ. ფილმი "**ცისფერი მანქანა**" **12.20** ბოევიკი "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "**გონებაზე მონადირენი**" **16.30** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **18.45** დოკუმენტური ფილმი **19.10** "ხელხვავი" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** მხ. ფილმი "**მონალიზას ღიმილი**" **00.15** მკლოდრამა "**წარსულის მიღმა**" **01.45** "შესანიშნავი შვიდეული"

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რობერტ სიმონსი: საქართველო ნატოში გაწევრიანების პირველ ეტაპზეც კი არ იმყოფება

**მოსკოვი. ნატოში საქართველოს შესვლის პერსპექტივებს განსაზღვრავენ ალიანსსა და თბილისს შორის დადებული მოქმედების ინდივიდუალური გეგმის შესრულების საფუძველზე. ეს განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კავკასიასა და შუა აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობერტ სიმონსმა.**

როგორც მან თქვა, საქართველომ „გამოთქვა ნატოსა და ევროკავშირში შესვლის სურვილი, მაგრამ იგი ჯერჯერობით ამ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების გზის პირველ ეტაპზეც კი არ იმყოფება“. „ჩვენ არაორაზროვნად განვაცხადეთ, რომ შევაფასებთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში მოქმედების ინდივიდუალური გეგმის შესრულების პარამეტრებს, და ამ შეფასებათა საფუძველზე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმის თაობაზე, თუ როდის დაადგება საქართველო ნატოში გაწევრიანების გზას“, — თქვა სიმონსმა. ნატო პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აღნიშნა მან და დასძინა, რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით“. „ამ თვალსაზრისით, ჩვენ მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ ბოლო წინადადებებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო, რომ ეს კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს“, — თქვა სიმონსმა. მან გაიხსენა, რომ ნატოში გაწევრიანების კანდიდატები არიან ხორვატეთი, ალბანეთი და მაკედონია, და აღნიშნა, რომ „უკრაინამ უფრო ინტენსიური გახადა ალიანსთან მოლაპარაკების პროცესი“.



**„რია ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო**

# სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მუდამ მზად არის აგრესიის მოსაგერიებლად

**პოსტსაბჭოური საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არაერთხელ გაჩაღდა შეიარაღებული კონფლიქტები — სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში... ამ ბოლო ხანებში ისევ ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ საქართველოში კვლავ მწვავდება ვითარება.**

საქმეში ჩახედული ადამიანები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია, სულ მალე დაიწყოს ახალი საომარი კამპანია. ამის წანამძღვრები აშკარაა: მოლაპარაკების პროცესი არ იძვრის გაყინული წერტილიდან, საქართველო კი განაგრძობს აქტიურ შეიარაღებას. და, სამხრეთ ოსეთის მხარის მონაცემებით, ამაში თბილისს ეხმარებიან უკრაინა და აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთი ქვეყნები. სულ რამდენიმე დღის წინათ გორში თბილისიდან გადაიტანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალი.

კონფლიქტის ზონაში სიტუაცია კიდევ ერთხელ გამწვავდა დეკემბრის დამდეგს. მაშინ რუსეთის მხრიდან ცხინვალის მისადგომები გადაკეტა ოთხი ქართული სოფლის შეიარაღებულმა მოსახლეობამ. ამასთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო საყაზარმო რეჟიმზე გადაიყვანეს, ცხინვალის და ზნაურის რაიონების ოსური სოფლები კი კვლავ ბლოკადაში აღმოჩნდნენ. საქართველოს ხელმძღვანელობამ სამხრეთ ოსეთი გამოაცხადა „კრიმინალურ რეგიონად, რომელშიც აუცილებელია წესრიგის დამყარება“. 4 დეკემბერს ქართველმა ძალოვანებმა ხელთ იგდეს სოფელ არცევის მილიციის უფროსის მოადგილე ვიაჩესლავ კუძიევი, რომელსაც ბრალად ედება ყალბი ვალუტის დიდი პარტიის გასაღება. აღსანიშნავია, რომ ძმებ იან და ჯემალ ქარქუსოვებს, რომლებსაც სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველი ორგანოები ეძებენ ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდისთვის, თბილისმა მისცა „პოლიტიკური“ თავშესაფარი.

ცხინვალის ირგვლივ შექმნილი ვითარების განმარტება ვთხოვეთ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის სამხრეთ ოსეთთან კავშირურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ნიკოლოზ მაკოევს.

— პრეზიდენტად გახდომის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი მთავარი კურსი იქნება ნებისმიერ ფასად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. საქართველოს სამხედრო და პოლიციური ქვეგანაყოფები დღესაც ახორციელებენ ლენინგორის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების ოსური სოფლების ბლოკირებას.

**— თუ მიგაჩნიათ, რომ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის სადავო საკითხების მოგვარება შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ კონფლიქტში?**

— მე ამას არ გამოვრიცხავს. აბა, მაშ, რისთვის აიარაღებენ გამალებით საქართველოს მისი ახალი მოკავშირეები? ვისგან აპირებს თბილისი თავის დაცვას?

**— რა განწყობილება სუფევს დღეს ცხინვალში?**

— 15-წლიანი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას აღარ სურს ცხოვრება საქართველოს შემადგენლობაში. სადღეისოდ, სამხრეთ ოსეთი მუდამ მზად არის რესპუბლიკაზე თავდასხმის მოსაგერიებლად. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება საქართველოზე თავდასხმას. რესპუბლიკის მცხოვრებლებს, უბრალოდ სურთ თავიანთი სახლების და სოფლების დაცვა. აბსოლუტურად გამოვრიცხავ სამხრეთ ოსეთის მხრიდან აგრესიას არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ვინმეს მიმართ.



**არტურ ცერეკოვი**
**15 დეკემბერი**

ТРУД

# გაზის ფრონტი ზღვიდან ზღვამდე გადაიჭიმა

**მოსკოვი მეზობლებს ემუქრება სრულმასშტაბიანი გაზის ომის დაწყებით. უკრაინის შემდეგ, „შავ სიებში“ მოხვდნენ ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდავეთი და საქართველო. „რუსეთი აპირებს გადასინჯოს მოლდავეთში, საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებში ბუნებრივი აირის მიწოდების პირობები“, — განაცხადა 14 დეკემბერს მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ვიქტორ ხრისტენკომ. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს ამის თაობაზე ერთიანი მოსაზრება აქვთ. წინა დღით ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ მარგელოვმა აღნიშნა, რომ დროა ბოლო მოუღონ რუსეთის რევოლუციამდელ პოლიტიკას. „უკვე კარგა ხანია საჭიროა ურთიერთობის „მონეტიზირება“ არა მარტო უკრაინასთან, არამედ საქართველოსთან, მოლდავეთთან და ბალტიისპირეთთანაც“, — დაასკვნა სენატორმა.**

„გაზპრომში“ მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნებში ბუნებრივი აირის ექსპორტის საბაზრო ლოგიკა აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2006 წელს ფასებს გაზრდიან. მაგალითად, საქართველომ, ყოველი მიწოდებული ათასი კუბური მეტრი გაზისთვის უნდა გადაიხადოს 110 დოლარი, მოლდავეთმა — 160, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა — 120-125 დოლარი. სადღეისოდ ბალტიის ქვეყნები გაზს იღებენ 85-95 დოლარად, მოლდავეთი — 80, საქართველო კი — 68 დოლარად. აღსანიშნავია, რომ დარტყმის ქვეშ, უწინარეს ყოვლისა, მოექცნენ რუსეთის ურჩი მეზობლები. მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი ბელორუსია კი გაზს მიიღებს წინანდელი სასაცილო ფასით — სულ რაღაც 47 დოლარი ათასი კუბური მეტრისთვის.

„გაზპრომის“ მეთაურმა ალექსეი მირევმა უარყო ეჭვი იმის თაობაზე, თითქოს ასეთი ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელეს პოლიტიკური მოსაზრებებით. „სხვა სატრანზიტო ქვეყნებისგან განსხვავებით, ბელორუსიაში გამავალი გაზსადენი მთლიანად ეკუთვნის „გაზპრომს“ და მიწაც, რომელზეც ეს გაზსადენი გადის, ხანგრძლივი იჯარით აქვს მას აღებული“, — თქვა მილერმა. ამით მოსკოვი მიანიშნებს ურჩ მეზობლებს, რომ მიბაძონ მინსკის მაგალითს და „გაზპრომს“ იჯარით გადასცენ როგორც მილსადენები, ისე მიწაც, რომელზეც ისინი გადიან.

რუსეთის მეზობლები, კერძოდ, საქართველო, როგორც ჩანს, შეეგუენ იმას, რომ ახალი წლიდან მოიმატებს გაზის ფასი. ამ ქვეყნის ხელისუფლების სტრუქტურათა წარმომადგენლები ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებენ. თუმცა, მოსკოვში ამ ცოტა ხნის წინათ გამართული მოლაპარაკების დროს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნა, რომ ამით არაფერი კატასტროფული არ მოხდება. „საქართველოს აქვს გარკვეული რეზერვები, და ჩვენ მზადაც ვიყავით მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის. მოსახლეობა ვერ იგრძნობს გაზის ფასის მომატებას. ამისგან საქართველოს ეკონომიკაც დაზღვეულია“, — თქვა მან.

რუსული გაზის ფასის შეცვლასთან დაკავშირებულ ვითარებაზე რეაგირება მოახდინა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც. მისი აზრით, „გაზპრომის“ ასეთი მოქმედება ყველაზე დიდ დარტყმას მიაყენებს საქართველოში მოქმედ რუსეთის საწარმოებს. „მალე გაგვიჩნდება გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროები — დასასრულს უახლოვდება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა. გარდა ამისა, ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს ყაზახეთთან ბუნებრივი აირის იმპორტის შესახებ“,— განაცხადა სააკაშვილმა. მაგრამ მთავარი პრობლემაა ის, რომ ყაზახეთის გაზის მიწოდება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რუსული „გაზრომის“ კუთვნილი მაგისტრალებით, ამ უკანასკნელმა კი უკვე არაორაზროვნად მიანიშნა, რომ გაზრდის თავის სატრანზიტო ფასს. თუმცა, კონკრეტული ციფრების შესახებ არაფერი უთქვამს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბალტიის არცერთ ქვეყანას არ მოუხდენია რეაგირება ვიქტორ ხრისტენკოს მიერ 14 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაზე. არაფერი უთქვამს მოლდავეთსაც, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ქვეყნის დელეგაცია, რომელიც მუშაობს გაზის საკითხების დარეგულირებაზე, ამჟამად მოსკოვში იმყოფება და მოლაპარაკებას აწარმოებს ბუნებრივი აირის მიწოდების პირობების შესახებ. ორი კვირის წინათაც მოსკოვში იმყოფებოდა მოლდაველ ექსპერტთა ჯგუფი, და მათ შეძლეს მორიგების მიღწევა რუსული გაზის ხელსაყრელი პირობებით მიღების თაობაზე. ზოგიერთი მონაცემებით, „გაზპრომთან“ გამართული მოლაპარაკების დროს მოლდავეთის მხარე განიხილავდა გაზის ფასის თანამიმდევრულ გადიდებას.



**იგორ ნაუმოვი,**
**იური სიმონიანი,**
**15 დეკემბერი.**

НЕЗАВИСИМАЯ

◎ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. V ტური.**

**„ე“ ჯგუფი.** „რომა“ — „ბაზელი“ 3:1, „სტრასბური“ — „ცრვენა ზვეზდა“ 2:2. ისვენებდა „ტრომსო“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „სტრასბური“ — 8, „რომა“ — 7, „ბაზელი“ — 6, „ცრვენა ზვეზდა“ — 4, „ტრომსო“ — 3 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „მარსელი“ — „დინამო“ 2:1, „ჰერენვენი“ — „ლევსკი“ 2:1. ისვენებდა ცსკა.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მარსელი“ — 9, „ლევსკი“ — 6, „ჰერენვენი“ — 5, ცსკა, „დინამო“ — 4-4 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** პაოკი — „რენი“ 5:1, შტუტგარტი“ — „რაპიდი“ 2:1. ისვენებდა „შახტარი“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „შახტარი“, „რაპიდი“, „შტუტგარტი“ — 9-9, პაოკი — 3, „რენი“ — 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ბოლტონი“ — „სევილია“ 1:1, „გიმარაეში“ — „ბეშიქთაში“ 1:3. ისვენებდა „ზენიტი“.

**საბოლოო მდგომარეობა:** „სევილია“, „ზენტი“ — 7-7, „ბოლტონი“ — 6, „ბეშიქთაში“ — 5, „გიმარაეში“ — 1 ქულა.





**შენიშვნა:** თითოეული ჯგუფიდან ბრძოლას უეფას თასისთვის 3-3 საუკეთესო კლუბი გააგრძელებს. „პლეი-ოფების“ კენჭისყრა დღეს გაიმართება.

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ნახევარფინალი.** „სან პაულუ“ (ბრაზილია) — „ალ იტიჰადი“ (საუდის არაბეთი) 3:2. ფინალში სამხრეთამერიკელთა მეტოქეს ინგლისის „ლივერპულისა“ და კოსტა-რიკის „საპრისას“ შეხვედრა გამოავლენს.

◎ სამბო

# სამბისტებს ნამდვილად ეშველათ

**ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დასტამბულ მრავალრიცხოვან წერილებში და ინფორმაციებში, საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ოლეგ იაძე თავისი ფედერაციის № 1 პრობლემად კეთილმოწყობილი სპორტული ბაზის უქონლობას მიიჩნევდა. ძალიან ხშირად, მოჭიდავეები თბილისის ფალავანთა კლუბის მეოთხე სართულზე, სრულიად უვარგის პატარა ოთახში იმალლებდნენ ოსტატობას, სადაც არავითარი დამხმარე სათავსო არ გააჩნდათ, რაც ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ფალავნების მიერ ნაჩვენებ შედეგებზე. მხედველობაში გვაქვს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, მსოფლიოს თასის გათამაშება და სხვა საერთაშორისო ხასიათის ტურნირები.**

საბედნიეროდ, ზემოაღნიშნული უსერიოზულესი პრობლემა გადაწყდა. ახლახანს, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი, სამბოს ეროვნული ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი ბადრი ბიწაძე შეხვდა თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს და სთხოვა მას მოეგვარებინა ეს პრობლემა. მინისტრმა გულთან ახლოს მიიტანა ქართველ სამბისტთა გასაჭირი და საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად, არმიის სპორტული კლუბის მესამე სართულზე განთავსებული საჭიდაო დარბაზი გამოუყო.

ეს გახლავთ მაღალჭერიანი, საკმაოდ ნათელი 15X25-მეტრიანი დარბაზი, რომელიც თავისუფლად აკმაყოფილებს სამბისტთა მოთხოვნებს. აქ ორი საჭიდაო ხალიჩის დაგება არის შესაძლებელი. ამჟამად აღნიშნულ დარბაზებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ამონტაჟებენ დარბაზის გასათბობ მოწყობილობას. წესრიგში მოიყვანენ განათებას, საწვრთნელ ნაგებობას ექნება კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპე, ექიმის კაბინეტი და მწვრთნელთა ოთახი. ახლადგარემონტებულ დარბაზში შესაძლებელი იქნება საქალაქო მასშტაბის ასპარეზობის გამართვაც. ოლეგ იაძის ვარაუდით, სარემონტო სამუშაოები 2006 წლის იანვრის ბოლოს დამთავრდება. ახალსახლობას სამბისტები თებერვლის დასაწყისში იზეიმებენ.

**შალვა ქორიძე**

**სურათებზე: არმიის სპორტული კლუბის დარბაზში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**





◎ მსოფლიო თასი

# პოსტსაბჭოელთა ფინალი



**ხანტი-მანსიისკში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა მსოფლიო თასის გათამაშება. გასამართავი დარჩა ბოლო რაუნდი, რომელიც, როგორც მთავარი პრიზის მფლობელს, ასევე I-XVI ადგილებზე გასულთა ვინაობას გამოავლენს.**

ამთავითვე ვიტყვით, რომ რუსებს არ გაუმართლდათ — მთავარი ფინალი უიმათოდ ჩაივლის. არადა, დიდად ეიმედებოდათ ალექსანდრ გრიშჩუკისა (რეიტინგი — 2720), რომელიც ნახევარფინალში უკრაინელ მსოფლიოს ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვს (2704) შეხვდა. ძირითადი ორი ხელი უშედეგოდ დამთავრდა. ოცდახუთწუთიან პარტიებში კი პონომარიოვმა იმარჯვა 2:0 და მთავარი პრიზისთვის ერევნელ ლევონ არონიანს (2724) შეხვდება. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალურ პაექრობაში 1,5:0,5 ფრანგთა იმედს ეტიენ ბაკროს (2725) სძლია. ამდენად, მესამე ადგილისთვის გრიშჩუკი და ბაკრო შეხვდებიან ერთმანეთს.

◎ ჭადრაკი

# სუპერფინალი 18 დეკემბერს დაიწყება

**შარშან მსოფლიო მნიშვნელობის სუპერტურნირების რიცხვს რუსეთის პირველობის სუპერფინალი მიემატა. იგი მსოფლიოს ექსჩემპიონ გარი კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა.**

წლევანდელი სუპერფინალი 18 დეკემბერს მოსკოვში დაიწყება. შეჯიბრებაზე პერსონალურად მიიწვიეს დიდოსტატები პიოტრ სვიდლერი (რეიტინგი 2740), მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკი (2739), ალექსანდრ გრიშჩუკი (2720), ალექსანდრ მოროზევიჩი (2707) და ალექსეი დრეევი (2694).

მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში, ასევე, ჩაებმებიან რუსეთის უმაღლესი ლიგის პრიზიორი დიდოსტატები: ევგენი ბარეევი (2675), ალექსანდრ ხალიფმანი (2653), სერგეი ვოლკოვი (2614), სერგეი რუბლევსკი (2652), დმიტრი იაკოვენკო (2644), ევგენი ნაური (2641) და ალექსანდრ მოტილიოვი (2632).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონ კრამნიკისა და მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის პრიზიორების — სვიდლერისა და მოროზევიჩის მონაწილეობა.

შეჯიბრება 30 დეკემბერს დამთავრდება.

◎ ჩოგბურთი

# ლამაზმანები დაბრუნდნენ?



**როგორც უკვე ვწერდით, დიდ ჩოგბურთს უბრუნდება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი.** მან თავის პირველ მეტოქედ აირჩია რუსეთელი ლამაზმანი ანა კურნიკოვა, რომელიც ოფიციალურ ტურნირებში 2003 წლიდან აღარ მონაწილეობდა. მათი საგამოფენო-საჩვენებელი მატჩი ბრაზილიაში გაიმართა. კორტი პირდაპირ ცნობილ კაპაკაბანას პლაჟზე მოაწყვეს. 24 წლის ანამ განაცხადა, რომ ახლა მის დაბრუნებაზე დიდ სპორტში ლაპარაკი არაა, მაგრამ...

პირველსავე სეტში მარტინამ გაანადგურა რუსეთელი. მეორეში კი ანამ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა ხელისგულზე კოჟრის გასკდომის მომიზეზებით.

◎ სპორტულ ორბიტაზე

## ლოთარ მატეუსს ადანაშაულებენ

**ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრა ლოთარ მატეუსმა გააყალბა, — ასეთი ბრალდებით გამოდის იტალიური ტელეარხი Sky Sport Italia. თითქოსდა ტელეოპერატორებმა გადაიღეს ის მომენტი, როდესაც მატეუსმა მეოთხე „კალათიდან“ ბურთულის ამოღებისას ჯერ ერთ ბურთულას მოჰკიდა ხელი, შემდეგ ის გაუშვა და მეორე ბურთი ამოიღო.**

ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ თითქოს ეს მოხდა იმ მომენტში, როდესაც უნდა განსაზღვრულიყო გერმანიის ნაკრების მეტოქე და მატეუსი შეგნებულად „ეძებდა“ უფრო სუსტ ოპონენტს. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფში იყვნენ სამხრეთ კორეა, აშშ და იაპონია. გერმანელებს კი კოსტა-რიკა ერგოთ.

როგორც ამბობენ, იტალიელებმა იციან, თუ ეს როგორ კეთდება — ბურთულებს იოლი მოწინააღმდეგეებით კენჭისყრის პროცედურის წინ ათავსებენ მაცივარში, ხოლო რთულ კონკურენტიან ბურთულებს — ჰაერლუმელში. ძნელია, რომ ისინი ერთმანეთში აგერიოს.

თუმცა არხმა მთელი ეს „მანიპულაცია“ დაწვრილებით აჩვენა, მატეუსი კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას და იტალიელი ტელეჟურნალისტების ვერსიის „ნაბოდვარს“ უწოდებს.






## შეჯიბრებები კოსმოსში

**ასეთი რამის მოწყობას დედამიწის ორბიტაზე აპირებს კორპორაცია Zero-G. პერსპექტივაშია ორბიტალური სტადიონები და მოედნები რესტრინგისთვის უწონადობისა და გაძლიერებული მიზიდულობის პირობებში.**

ჯერჯერობით ეს კომპანია აწყობს გასართობ ვოიაჟებს თვითმფრინავით Boeing 727-200 “G-Force One”, მგზავრები, როდესაც თვითმფრინავი თავისუფალ ვარდნაში გადადის, უწონადობას განიცდიან. მათ ამ შემოდგომაზე შესაძლებლობა ჰქონდათ, ფრენის დროს ეთამაშათ სხვადასხვა სპორტული თამაშები. ახლა აპირებენ შეჯიბრებების მოწყობას მხატვრულ ტანვარჯიშში და მოდების ჩვენებას.

Zero-G-ის პარტნიორი ფირმა IPX Entertainment ამუშავებს ახალ სპორტულ რეალიტი-შოუს, მისი მონაწილენი ნულოვანი გრავიტაციის დროს ითამაშებენ ახალ თამაშს პარაბოლს („პარაბოლურ ფეხბურთს“).

თავდაპირველად თამაში გაიმართება ლას-ვეგასის თავზე, ხოლო თვითმფრინავების პარკის გაზრდის შემდეგ, სხვა ქალაქების ცაზეც, მომავალში კი — კერძო ორბიტალურ სადგურებზეც.

## ქალთა ფრენბურთი ლამაზი ფეხებია!

**ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს გერმანული ფრენბურთის კლუბის 61 წლის მენეჯერი ახიმ ეჰნერი.**

„ზევრ კატალოგში მინახავს ქალის ფეხები სექსუალურ თეთრეულში. ამის შემდეგ წარმოვიდგინე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ფრენბურთელ ქალთა ფეხები, გაცილებით გრძელი და სიმპათიური რომაა. ბოლოს კი აზრად მომივიდა, გამომეშვა 2006 წლის სპეციალური კალენდარი, რათა ყველამ გაიგოს, თუ რა ლამაზი ქალიშვილები არიან ჩვენს ფრენბურთში“, — განაცხადა ეჰნერმა.

როგორც კი ლამაზფეხებიანი კალენდარი მაღაზიათა დახლებზე გამოჩნდა, მყისვე დაიტაცეს. თუმცა ფასიც ძალიან დიდი როდი იყო — მხოლოდ 15 ევრო. ამასთან, ასეთი კალენდრის ბედნიერ მფლობელს ექნება საგანგებო პრიზების გათამაშებაში მონაწილეობის საშუალება. რისთვისაც მან უნდა გამოიცნოს, თუ რომელი ფეხები რომელ ფრენბურთელს ეკუთვნის.





## ფეხბურთი — მისი დიდი სიყვარული

**ესპანელი პორნოვარსკვლავისა და მოდელის ნურია ბერმუდესის ყველაზე დიდი სიყვარული ფეხბურთია. ის გაგიჟებითაა შეყვარებული მადრიდის „რეალზე“, რასაც მისი სხეულის ინტიმურ ნაწილზე შესაბამისი სვირინგიც ადასტურებს. ფეხბურთით გატაცება ნურიასათვის სიმბოლური როდია.** თავის დროზე ის ეტრფოდა სამეფო კლუბის შესანიშნავ ექვსეულს — იკერ კასილიასს, ივან ელგეროს, მიჩელ სალდაგოს, ფრანსისკო პავონს, რობერტო კარლოსს და, რასაკვირველია, რონალდოს. სწორედ ამიტომაც შეარქვეს „ნალების მოყვარული“. ერთად ერთი, ვისზეც ნურია არ ლაპარაკობს, დევიდ ბექჰემია. თუმცა, როგორც ამბობენ, ისინიც უნახავთ ერთად, მაგრამ რატომღაც ამაზე არაფერს ამბობენ.

ახლა კი, როგორც თავად განაცხადა, „ფიფას აგენტად“ გახდომასაც აპირებს. ფეხბურთისადმი დახმარება სანაქებოა, მაგრამ მისი კანონ-წესებიც ხომ ზედმიწევნით უნდა იცოდეს. „ლოგინის ნაცნობობა“ საკმარისი როდია.

⊙ ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლი

# გიორგი ნანეიშვილი: მოგვწონს გაზეთის პროფესიონალიზმი და მიუკერძოებლობა



**უწინარესად** ეს არის აკადემიური, სერიოზული გაზეთი, სადაც მწვავე პრობლემები განიხილება, და განიხილება კონსტრუქციული თვალთახედვით. ამ გაზეთის ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ის გახლავთ, რომ არ არის გამოდევნებული იაფფასიან სენსაციებს, რაც სერიოზული მკითხველისთვის ფრიად მოსაწონია.

ავტორების პროფესიონალიზმი, თვალშისაცემი რუბრიკები პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი ნიმუშია ცივილიზებული პრესისა.

მისასალმებელი იქნება, თუ გაზეთი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს თანამედროვე სამედიცინო პრობლემატიკასაც, რასაკვირველია, ჩვეული სიმწვავით. ცხადია, გაზეთი კვლავაც შეინარჩუნებს ამჟამინდელ პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობას.


## გამოიწერეთ

### სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**


⊙ კრიმინალი

## „ბაჭია" — გალიაში

**იმერეთის** სამხარეო პოლიციამ წყალტუბოს რაიონულ სასამართლოზე თავდასხმის საქმე გახსნა. სასამართლოს გარაჟს შეიარაღებული ნიღბიანები 10 ოქტომბერს ღამით დაესხნენ თავს.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი, 25 წლის ემზარ ქარდავა დააპატიმრეს. მას სასამართლოს შენობიდან გატაცებული ტექნიკა აღმოაჩნდა.

როგორც ინტერპრესნიუსს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა განუცხადა, ემზარ ქარდავა, მეტსახელად „ბაჭია", ქურდული ტრადიციების მიმდევარია. იგი აფხაზეთიდან დევნილია და წყალტუბოს სანატორიუმ „კოლხეთში" ცხოვრობს.

დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 178-ე მუხლით აღიძრა, რაც 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## წინასწარი გამოძიება დაიწყო

**ფინანსური** პოლიციის იმერეთის სამმართველომ ორი ბენზინგასამართი სადგურის ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ წინასწარი გამოძიება დაიწყო.

როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, გამოძიება შპს „ატლას ელვასა" და შპს „ივერიას" ხელმძღვანელებს საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას ედავება.

გარდა ამისა, იმერეთის სამმართველომ წინასწარი გამოძიება კიდევ ერთი, შპს „გილას" ხელმძღვანელთა მიმართ დაიწყო, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით წარმოებს.

ინტერპრესნიუსი

⊙ უცხოური პრესიდან

## ყველაზე სასურველი ბიუსტი



**ფელიქსი** დაბრუნდა. ჯერჯერობით მხოლოდ პეტროვკის № 38 სახლის ეზოში, სადაც იგი იდგა 1991 წლის აგვისტომდე. დაბრუნდა და თითქოს გვითხრა — „არ მელოდით?": მოსკოვის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები დილით ჩვეულებრივ გამოცხადდნენ სამუშაოზე, იქ კი მათ ძერჟინსკი დახვდათ. როგორც მოსკოვის მილიციის უფროსმა ვლადიმერ პრონინმა თქვა, ბიუსტის დადგმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს თავიანთ საბჭოზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანებმა. თუმცა, ამას პროტესტით არც პოტენციური ვეტერანები შეხვედრიან. საწყენია მხოლოდ ის, რომ ძერჟინსკის ყველა თაყვანისმცემელს არა აქვს საშუალება გაიზიაროს გმირის დაბრუნების სიხარული, თანაც, ბიუსტი მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროსთან დააბრუნეს სწორედ მილიციის დღის წინ. არადა, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, უკვე დღეს გვეფიქრა ლუბლიანკის მოედნის ცენტრზეც, რადგან ჩეკისტის დღეც ხომ სულ მალე დადგება — 20 დეკემბერს.

ОГОНЁК

⊙ ანეკდოტები

**წვანან** რაისა მაქსიმოვნა და გორბაჩოვი. რაისა მაქსიმოვნა ეუბნება:

— მიშა, თავად განსაჯე, მოჯამაგირის შვილიშვილი ხარ, გლეხის შვილი, თვითონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობდი, შეგეძლო იმის წარმოდგენაც კი, რომ პრეზიდენტის ცოლთან დაიძინებდი?

* * *

— **ოფიციანტო**, ჩემს წვნიანში ბუზია!

— თქვენ რა, ტარაკანი შეუკვეთეთ?



— **თუ** შეიძლება, ხელმძღვანელი თევზი ამიწონეთ!

— რას ნიშნავს „ხელმძღვანელი?"

— აი, ის —ქონიანი, მსუქანი და უთავო!

* * *

— **მიხო!**

— ვარ!

— ნიკა!

— ვარ!

— ბიმურზა, ბიმურზა-მეთქი, სადა ხარ, შე შობელძაღლო!

— აქა ვარ, კაცო, სად წავიდოდი ამ წყალქვეშა ნავიდან!

— აბა, მითხარი, როგორ მრავლდებიან მცენარეები? — ეკითხება მასწავლებელი მესამეკლასელ მიხოს.

— მცენარეები? აი, მარტო მათი გამრავლების წესი არ ვიცი...

* * *

**ორი** სვანი ქუჩაში მიდის. უცებ ერთმა გაზონიდან რაღაც აიღო.

— რა იპოვე?

— ათდოლარიანი.

— ყოჩაღ... რას შვრები, ბიჭო, რად დახიე?

— ყალბი იყო.

— რით შეატყვე?

— რა შეტყობა უნდა, კაცო, სად გინახავს ორნულიანი ათიანი?

⊙ „დედოფალი მსოფლიო — 2005"

## ირლანდიელი დედოფალი

**გასულ შაბათს, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო მიჯაჭვული იყო ტელევიზორებთან — ჩინეთში მიმდინარეობდა პლანეტის ულამაზესი ასულის წოდებისთვის „ბრძოლა".**

„მის მსოფლიო — 2005" გახდა 21 წლის ისლანდიელი, რომლის გვარი ძალზე ძნელი წარმოსათქმელია — ვილხჯალმსდოტირი, პოდიუმის მეორე საფეხური დაიკავა მექსიკელმა, მესამე კი — პუერტორიკოელმა ლამაზმანმა.



თავდაპირველად გამარჯვების დიდი შანსი ისლანდიელს მაინცდამაინც არ ჰქონდა. მთავარ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ „მის იტალია" და „მის ფილიპინები", რომლებიც ბოლოს ფინალშიც კი ვერ მოხვდნენ.

წლეულს კონკურსის ორგანიზატორებმა ერთგვარად შეცვალეს პირობები. ყველა კონტინენტის წარმომადგენლები დაყვეს ოთხ ჯგუფად „საცხოვრებელი ადგილების მიხედვით".

როგორც კი კონკურსი დაიწყო, ნათელი გახდა, რომ რუსეთელმა ლამაზმანმა — იულია ივანოვამ სტარტზევე დაჩრდილა ბევრი კონკურენტი, თუმცა ყველაფერს ჟიური წყვეტდა.

კონკურსის პროგრამა ძალზე რთული იყო. ის 55 ეტაპიდან შედგებოდა. ლამაზმანებს მოუწიათ გადარბენაზე სირბილი და სიმაღლეზე ხტომა. კონკურსის მონაწილენი ცეკვავდნენ, ავლენდნენ თავიანთ ტალანტსა და ხუმრობდნენ კიდეც. ერთ-ერთი დავალება იყო იმაზე მოთხრობა, თუ რას გააკეთებდა კონკურსანტი გამარჯვების შემთხვევაში. მაგალითად, რუსეთელმა იულიამ უპასუხა:

— დავეხმარებოდი უსახლკარო ბავშვებს!





უკრაინაში შოუ პირდაპირ ეთერში აჩვენეს, მაგრამ იქაური ლამაზმანი ფინალში ვერ მოხვდა. თუმცა კონკურსში იმდენი ლამაზმანი მონაწილეობდა, რომ თითოეულს შეეძლო გამარჯვება.

**სურათებზე: დედოფლის გვირგვინი ირლანდიელ ვილხჯალმსდოტირს ხვდა. მსოფლიოს ყველაზე „ტანადი" ლამაზმანის სამეული — (მარცხნიდან) „მის მექსიკა" — მოლინა ლონა, რუსეთელი იულია ივანოვა და მოლდაველი ირინა დოლოვოვა.**

⊙ დაზუსტება

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვაკანტურ თანამდებობებზე 2005 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 14 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, შესატანია შემდეგი დამატება:

**თანაშემწის ვაკანტურ თანამდებობაზე პრეტენდენტებისთვის კონკურსი ჩატარდება ტესტირებისა და გასაუბრების ფორმით.**

⊙ ლარის კურსი

### 16 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1675 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7875 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1495 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0624 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3893 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3974 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5579 ლარი. |

⊙ ახალი ნომერი

## გამოვიდა ჟურნალი „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე"





**გამოვიდა ჟურნალ „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნეს" მორიგი ნომერი. ჟურნალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს გამოცემაა და მისი რედაქტორია ამ სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ თორდია.**

„აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნეს" ამ ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუები საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან — კოტე კუბლაშვილთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანთან — ვალერი ცერცვაძესთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან ვახტანგ თორდიასთან. ინტერვიუებში საუბარია საქართველოს სასამართლო სისტემაში ბოლო წლებში მიმდინარე რეფორმის მასშტაბებსა და თავისებურებებზე და დღემდე დაუძლეველ პრობლემებზე.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აუცილებელ ფინანსურ გარანტიებსა და მოსამართლის კონსტიტუციურ უფლებებზე საუბრობს თავის წერილში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გიორგაძე.

ჟურნალში კიდევ არაერთ საინტერესო წერილს წაიკითხავს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემებით დაინტერესებული მკითხველი.

⊙ გამოიცა

## მეგობრების ნაჩუქარი წიგნები

**საცაა ახალი წელი შემოვა და, არ მინდა „ვალი" დამრჩეს — 2006-ში გადავიყოლო გამოხმაურება რამდენიმე კარგ წიგნზე, რომლებიც მეგობარმა მწერლებმა და პოეტებმა მისახსოვრეს.**

ამ წიგნებში ჭეშმარიტად გამორჩეულია **ტარიელ ზოზრაშვილის** საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის ნაშრომი **„ისინი რომ არა"**, რომელშიც ავტორი ნათელი, ხატოვანი სტილით მოგვითხრობს (წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია მოსწავლე-ახალგაზდობისა და მასწავლებელთათვის) ქართველი ერის სათაყვანებელ გმირებზე, რომლებსაც ლომის წილი უდევთ ჩვენი ხალხის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის უკეთილშობილეს, საშვილიშვილო საქმეში. მათი გმირული შემართება გვაიძულებს მუდმივად გვახსოვდეს: საიდან მოვდივართ, რა გზას ვადგავართ და რა გზით უნდა ვიაროთ. ყოველივე ეს კი დღეს ძალზე აქტუალურია. წიგნში დაბეჭდილია ნარკვევები ფარნავაზის, წმინდა გიორგის, ნინო კაბადოკიელის, ვახტანგ გორგასლის, ასურელი მამების, მეფე არჩილ II-ის, ბაგრატ III-ის, გიორგი ჭყონდიდელის, დავით აღმაშენებლის, თამარის, შოთა რუსთაველის, შალვა ახალციხელის, ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის (და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ვიდრე ივანე ჯავახიშვილამდე) სამაგალითო ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.



მიმავალი წელი ხელხვავიანი იყო ცნობილი მთარგმნელის **ზაურ კილაძისათვის**. მან თავი მოუყარა ესეებს, მხატვრულ პროზას და წარმოგვიდგინა ერთ სოლიდურ კრებულად, რომელსაც **„დიდი ნილბოსნები"** ჰქვია.

ავტორი დაუფიქრებია ცივილიზებული ადამიანის ზნეობრივ დაკნინებას, ცდილობს ახლებურად გაიაზროს დონ კიხოტის ლიტერატურული ტიპი, აღელვებს საქართველოს წარსული და დღევანდელობა, ეროვნული ნიჰილიზმის მომძლავრება... წიგნი უდაოდ საინტერესოა.

ტკივილიანია ცნობილი პოეტის **დილარ ივარდავას** ახალი ლექსების კრებული **„სიზმარეული ზღვა აფახეზთის"**, რომელიც მთლიანად საქართველოს ამ ტრაგიკულ, დღეს უკვე „შორეულ" კუთხეს ეძღვნება.

პოეტისათვის ამ კუთხეში ყოველივე უძვირფასესია. ჯერ კიდევ როდის (გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს) დაბეჭდა დილარმა „მნათობში" შესანიშნავი ლექსი „დიოსკურია", მერე ამ ლექსს სხვებიც მიაყოლა — აბა, სოხუმი, აბა, ბზიფი, აბა, ბიჭვინთა და ჩამოვიდა იმ ავადმოსაგონარ დღეებამდე, როდესაც ჩვენი ბედოვლათობითა და რუსეთის მზაკვრობით ეს უმნიშვნელოვანესი კუთხე ხელიდან გამოგვეცალა. მაგრამ პოეტი აფხაზეთის დედასამშობლოსთან ჩახუტების იმედს არ ჰკარგავს და ეს იმედი გასდევს მთელ კრებულს.

მწერალი **ვასილი დიმოვი** ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი და დამოუკიდებელი პერსონაა უახლეს რუსულ მწერლობაში. აქვს ძალზე საინტერესო ბიოგრაფია და ასეთივე შემოქმედება — გამორჩეული პროზა. დიმოვი ეთაყვანება საქართველოს — უძველესი კულტურისა და მითოსების ქვეყანას, მის უნიკალურ დედაქალაქ თბილისს

მისი რომანი **„თბილისიმო" ჯუმბერ თითმერიას** რომ უთარგმნია ოსტატურად და თექვსმეტ „სიმღარს" მოიცავს, სიყვარულის გამხელაა საქართველოსადმი და ამიტომაც რუს მწერალს გულითადი ქართული მადლობა ეთქმის.

**ვილენ მარდალეიშვილი**

⊙ დაფასება

## დაასახელეთ საუკეთესო პედაგოგები!

**როგორც თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიდან გვაცნობეს, დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური საახალწლოდ სოციალურად დაეხმარება.**

თბილისის 200 სკოლიდან ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობით, თითოეული სკოლის თითო, ყველაზე დამსახურებულ და სოციალურად დაუცველ მასწავლებელს გადაეცემა. ამ პედაგოგს თავად სკოლა დაასახელებს.

პედაგოგების დახმარების პროგრამის ფარგლებში მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს საახალწლოდ, საბავშვო სპექტაკლებზე დასასწრებად უფასო ბილეთებს გადასცემს. სპექტაკლები საბავშვო თეატრში „მეორე სახლი" 25-30 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. პედაგოგებს, რომელთაც მერია ბილეთებს გადასცემს, თავად სკოლები შეარჩევენ. თეატრი „მეორე სახლი" ალმაშენებლის გამზირზე მდებარეობს. ის თბილისში ერთადერთი, ბავშვებით დაკომპლექტებული დასის მქონე თეატრია, რომელიც დედაქალაქის მერიასთან ერთად ხშირად მართავს საქველმოქმედო აქციებს მზრუნველობამოკლებული ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისთვის.

31 დეკემბერს, თბილისის მერიის მიერ დედაქალაქში დაგეგმილ საახალწლო ღონისძიებებში, უფროსებთან ერთად, მონაწილეობას მოსწავლეებიც მიიღებენ. მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ინიციატივითა და რეკომენდაციით თბილისის 9 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები 31 დეკემბრის საახალწლო პროგრამაში საკუთარი 40-წუთიანი ინდივიდუალური პროგრამით წარსდგებიან.

31 დეკემბერს ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში „მომავლის სახლი" სპექტაკლის „კონკია" პრემიერა გაიმართება. სპექტაკლში თავად „მომავლის სახლის" აღსაზრდელები მიიღებენ მონაწილეობას. პრემიერაზე დასწრება თავისუფალია.

მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ყოველმხრივ შეეცდება დედაქალაქელ პედაგოგებს საახალწლო განწყობილება აუმაღლოს.

**საკუთარი ინფორმაცია**

დედა ნუნუ ხაჭაპურიძე, მეუღლე ანა სიხარულიძე, შვილი ნინო, და დოდო, დისწული რატი საყვარელიძე, დეიდა ნანა, სიდედრი თინა ბოჭორიშვილი, ცოლისდები, ქვისლები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ოთარის ძე კირკიტაძე**

პანაშვიდი 16, 17 XII, 16 სთ-ზე, მისამართი: წერეთლის პრ. 7 კორპ. I სად. VII სართ.

დაკრძალვა 18, XII, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო). 14 სთ-ზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1" დირექტორი თენგიზ კალანდაძე. ქიქოძის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია. მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34. მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33. სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ მოგვიტანენ.